


# ორგანული სინთეზი

I  
ნაწილი I

დამხმარე სახელმძღვანელო

ნ. ღონიშვილი, ჭ. გელიაშვილი, ე. ელიზბარაშვილი,  
ნ. დარეჯანაშვილი, მ. ხითარიშვილი, გ. ჭირაქაძე

ორგანული სინთეზი



ტექნიკური უნივერსიტეტი  
2005

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

6. ღოლამი, ზ. გალიაშვილი, ე. ელიზბარაშვილი,  
6. ლარეჯანაშვილი, მ. ხილარიშვილი, გ. ჭირაძა

## ორგანული სისტემი

ეაფილი I



დამტკიცებულია დამხმარე  
სახელმძღვანელოდ სტუ-ს  
სარედაქციო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2005

განხილულია ორგანული სინთეზის ლაბორატო-  
რიაში მუშაობის მირითადი ზოგადი მეთოდები: გამოწვდა,  
ექსტრაქცია, გადაკრისტალება, ზერთვილგა, ქრომატო-  
გრაფიული მეთოდები და სხვა.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ქი-  
მიური ტექნოლოგის დეპარტამენტის ქიმიის პროფილის  
(სპეციალობები: 250100, 251604, 0405, 250200, 250800,  
250900, 251100, 251300, 270200, 270400, 250300,  
251505, 270704, 2707, 250106, 250101, 250301)  
სტუდენტებისათვის. იგი ასევე დახმარებას გაუწევს  
მაგისტრანტებს.

რეცენზენტები: ქ. მ. დ. შ. ჯაფარიძე  
ქ. მ. კ. ნ. ჩაჩუა

რედაქტორი: ქ. მ. კ. მ. მაისურაძე

© გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2005  
ISBN 99940-40-32-4 (სამივე ნაწილი)  
ISBN 99940-40-38-3 (პირველი ნაწილი)

## შესავალი

თანამედროვე ორგანული ქიმიის ერთ-ერთ ძირი-თად მიზანს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს წინასწარ დასახული თვისებების მქონე ნაერთების სინთეზი.

სინთეზის დაგეგმვა მოიცავს ყველა საფეხურის თეორიულ და პრაქტიკულ გააზრებას.

იმ ნაერთის აღნაგობა, რომელიც უნდა იქნას მიღებული, საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ მისი რეტროსინთეზი, „უპუსვლით“, საფეხურებრივად თანდა-თან გავამარტივოთ ამ ნივთიერების მიღების სქემა, ე.ი. თეორიულად დავშალოთ იმ მარტივ საწყის ნივთიერებათა მოლეკულებად, რომლისგანაც შესაძლებელია მისი მიღება. შემდეგ კი ამოვირჩიოთ მათ შორის ყველაზე ხელსაყრელი მარტივი ნივთიერება, მიღების გზა და მიმართულება. ასეთი თეორიული გააზრების შემდეგ იწყება ყველა საფეხურის ექსპერიმენტული განხორციელება.

უნდა გვახსოვდეს, რომ სინთეზირებული ნივთიერება იწყებს სრულფასოვან და დამოუკიდებელ „ცხოვრებას“ წარმოებაში, ლაბორატორიაში, ცხობარში, სამეცნიერო ლიტერატურაში და სხვ. მხოლოდ მისი თვისებების მაქსიმალურად სრული აღწერის შემდეგ.

სინთეზური ნაერთის თვისებების შესწავლაში ფართოდ გამოიყენება ორგანული ქიმიის მრავალ კლასიკურ მეთოდებთან ერთად თანამედროვე ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები. მაგრამ მრავალმხრივი თვისებების შესწავლა იწყება მხოლოდ და მხოლოდ სინთეზირებული ნაერთის გამოყოფის და გაწმენდის შემდეგ.

თანამედროვე ქიმიკოსს, ორგანული ქიმიის კლასიკურ მეთოდებთან (გამოხდა, გადაკრისტალება, ექსტრაქცია და სხვ.) ერთად, აგრეთვე სჭირდება ქრომატოგრაფიული და სპექტროფოტომეტრული მრავალი მეთოდის ცოდნა.

ლაბორატორიული სამუშაოების პროგრამა ორგანულ სინთეზში მოიცავს სტუდენტის მიერ 5-10 დამოუკიდებელი სხვადასხვა ორგანული ნაერთის სინთეზის შესრულებას, მიღებული ნაერთების სუფთა სახით გამოყოფას და მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებების

სრულ აღწერას. მუშაობის პროცესში სტუდენტი თეორიულად და პრაქტიკულად ეცნობა ძირითად ექსპერიმენტულ მეთოდებს, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ ორგანული ნაერთის სინთეზისათვის.

ამგვარად, მომავალი ქიმიკოს-ტექნოლოგის მეცნიერულ ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანული სინთეზის ლაბორატორიაში მუშაობის მეთოდების სრულფასოვან და შემოქმედებით ათვისებას.

# 1. ზოგადი ნაზილი

## 1.1. სამუშაო რვეულის გაფორმება

სამუშაო რვეულში ჩანაწერები კეთდება უშუალოდ ცდის მსვლელობის დროს.  
ჩანაწერში ასახული უნდა იყოს სტუდენტის პირადი დაკვირვების შედეგები.  
ლაბორატორიულ რვეულში აღნიშნული უნდა იქნეს ჩატარებული სამუშაოს შემდეგი მონაცემები:

1. სამუშაოს დაწყების თარიღი, თემისა და სინთეზის დასახელება;

2. რეაქციის განტოლება და მექანიზმი;

3. ყველა თანაური პროცესის რეაქციები;

4. გამოყენებული ორგანული ნაერთების გასუფთავების და იდენტიფიკაციის მეთოდების მოკლე აღწერა;

5. საწყისი და სინთეზირებული ნაერთების თვისებების ლიტერატურული მონაცემების აღწერა ცხრილის მიხედვით (ცხრილი 1).

6. სამუშაოს მსვლელობის სრული აღწერა, ნივთიერების ჩატვირთვა გრამებში და მოლებში, ჩატარებული ოპერაციების თანმიმდევრობა, ყველა ოპერაციის ხანგრძლივობა, დაკვირვების შედეგები: ფერის ცვლილება, ნალექის და აირადი პროცესების წარმოქმნა, სითბური ეფექტი და სხვ.

7. მიღებული ნაერთის გასუფთავების შემდეგ ნაჩვენები უნდა იყოს:

ა. ამ ნაერთის ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები (დუღილისა და ლლობის ტემპერატურა, გარდატენის მაჩვენებელი და სხვ.);

ბ. თეორიული და პრაქტიკული გამოსავლის გაანგარიშება.

ცხრილი 1. საწყისი და სინთეზირებული ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

ნავთიერება	ფორმულა	მოლეკულური მასა	$\rho_{\text{გ/მ}^3}$	$T_{\text{და}}^{\circ}\text{C}$	$T_{\text{და}}^{\circ}\text{C}$	$n_D^{20}$	ზსნადობა	
							ტემპერატურა გამოსავლი	ორგ. გამოსავლებიში
მმარმავა	<chem>CH3COOH</chem>	60	1.05	16.6	118	1.3698	8	სპ, ეთ,

ა და ბ მონაცემები შეიძლება მოყვანილ იქნეს ცხრილის სახით.

**შენაბეჭნები:** მასწავლებელი ხელის მოწერით აღასტურებს:

1. სამუშაოს დაწყების წინ სტუდენტის მზადყოფნას სინთეზის ჩასატარებლად (სინთეზის მსვლელობის მეთოდიკის ცოდნა, საჭირო რეაქტივებისა და დანადგარის მომზადება);

2. სამუშაოს დამთავრების შემდეგ თეორიული კოლოქვიუმის ჩათვლას.

სინთეზირებული ნაერთი ბარდება მასწავლებელს.

## 1.2. ჭურჭლის გასუფთავება

ჭურჭლის გასუფთავების მრავალი საშუალება არსებობს: ჯაგრისის მეშვეობით ჭურჭლის რეცხვა ცხელი და ცივი წყლით, საპნით, სარეცხი ფხვნილებით, ორგანული გამხსნელებით - სპირტი, აცეტონი, ქლოროფორმი და სხვ. (გამოყენებულ გამხსნელებს იბარებს ლაბორანტი), აგრეთვე წყლის ორთქლით დამუშავება და სხვ.

შედარებით ეფექტური გამწმენდი საშუალებებია ქრომის ნარევი და KMnO<sub>4</sub>-ის ტუტე ხსნარი.

ქრომის ნარევის მოქმედების შედეგად იუანგება ჭურჭლის კედელზე მიკრული ჭუჭყი და გარდაიქმნება ხსნად ნივთიერებად, ხოლო კალიუმის პერმანგანატის ტუტე ხსნარი გამოიყენება ზოგიერთი სუნიანი ნაერთის მოსაცილებლად.

**ქრომის ნარევის მომზადება.** ფაიფურის ან ცეცხლგამძლე ჭიქაში 10 გ კალიუმის ბიქრომატს და 15-20 მლ წყალს მექანიკური მორევის პირობებში უმატებენ 60 მლ კონც. გოგირდმჟავას (საჭიროა სიფრთხილე, მიმდინარეობს ნარევის გაცხელება). წარმოიქმნება მუქი ნარინჯისფერი ხსნარი. თუ ბიქრომატი სრულად არ გაიხსნება, ნარევს უმატებენ გოგირდმჟავას და აცხელებენ ქურაზე.

გაჭუჭყიანებული ჭურჭლი უმჯობესია გაირეცხოს ხმარებისთანავე.

სასურველია ჭურჭლს წინასწარ გამოვავლოთ წყალი, რათა მექანიკურად მოვაშოროთ ის ნაერთები, რომლებიც სწრაფად იუანგებიან ბიქრომატით და ქრომის ნარევი უვარგისი ხდება ხელმეორედ გამოყენებისათვის.

მოზრდილ კოლბებს და ჭიქებს შიგნიდან უნდა გამოვავლოთ ქრომის ნარევი, ხოლო მცირე მოცულობის ჭურჭლს მთლიანად ვათავსებთ მასში. შემდეგ ვიღებთ დამჭერის საშუალებით და ვავლებთ წყალში. უფრო ეფექტურია ჭურჭლის გარეცხვა შემთბარი ქრომის ნარევით.

ქრომის ნარევი ინახება ხუფიან ფაიფურის ჭურჭლში. როდესაც მისი მუქი ნარინჯისფერი გადავა მომწვანო ფერში, ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაკარგა დამჟანგავი მოქმედება და საჭიროა ახალი ხსნარის დამზადება.

დაუშვებელია გამოყენებული ქრომის ნარევის ნიუარაში ჩასხმა. იგი უნდა ჩავასხათ სპეციალურად გამოყოფილ ჭურჭლში.

**KMnO<sub>4</sub>-ის ტუტე ხსნარის მომზადება.** 10 გ კალიუმის პერმანგანატს უმატებენ 10 გ ნატრიუმის ტუტეს დ 150 მლ წყალს. ამ ხსნარში გასასუფთავებელ ჭურჭლს ტოვებენ რამდენიმე დღის განმავლობაში (სუნიანი ნაერთი იუანგება და კარგავს სუნს).

KMnO<sub>4</sub>-ის მოქმედების შედეგად ჭურჭლი ყავის-ფრდება, რაც ადვილად შორდება კონცენტრირებული მარილმჟავათი.

**ჭურჭლის გაშრობა.** გარეცხილ ჭურჭლს გამოავლებენ გამოხდილ წყალს და ჰაერზე გასაშრობად ათავსებენ თაროზე, უმჯობესია თუ თარო ნიუარასთან დამაგრებული იქნება დახრილად. უფრო სწრაფად გაშრობისათვის კი გამოიყენება საშრობი კარადები, სადაც 100-200 °C-ზე ჭურჭლი რამდენიმე წუთში შრება.

გასუფთავებული და გამშრალი ჭურჭლი უნდა შევინახოთ ჭურჭლის კარადაში, რათა დავიცვათ გაჭუჭყიანებისაგან.

### 1.3. გახურება

ორგანულ სინთეზში გახურება გამოიყენება ქიმიური რეაქციის წარმართვისათვის სასურველი მიმართულებით და აგრეთვე ისეთი ოპერაციების ჩასატარებლად, როგორიცაა: კრისტალიზაცია, გამოხდა, ზოგიერთი ფიზიკური კონსტანტის დადგენა და სხვ. გახურება ხდება სხვადასხვა სახის ენერგიის გამოყენებით: სითბური ელექტროენერგია, გამოსხივების ენერგია და სხვ. პირდაპირი გახურება წარმოებს ელექტროქურით, კოლბის გამახურებლით (სურ. 1), გაზის ან სპირტჭურის ალზე აზბესტის ბადის გამოყენებით. არაპირდაპირი კი სხვადასხვაგვარი აბაზანების გამოყენებით, კერძოდ: წყლისა და ორთქლის აბაზანებით 100 °C-მდე, სილის აბაზანით 100-500 °C-მდე, ზეთის აბაზანით 100-250 °C-მდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მუდმივი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრად დაცვა შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გამოიყენება სხვადასხვა მარკის ელექტროთერმისტატები.



სურ. 1. კოლბის გამახურებლები

ნივთიერების გამოსაშრობად 250 °C-მდე იხმარება ელექტროსაშრობი კარადები, ხოლო ნივთიერების ვაკუუმში გამოსაშრობად კი ვაკუუმ-საშრობი ელექტროკარადები და ვაკუუმ-ექსიკატორები (ნახ. 1).




ნახ. 1. ვაკუუმ ექსიკატორი

## 1.4. გაცივება

გამოხდისას ორთქლად ქცეული ნივთიერების კონდენსაციისათვის აუცილებელია გაცივება, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა სახის მაცივრები: წყლის, ჰაერის და სხვ.

წყლის მაცივარი შედგება მილისაგან (სწორი, ბურთულებიანი, სპირალური), სადაც ჩაედინება ორთქლი და წყლის პერანგისაგან, რომელიც გარს აკრავს მილს. წყლის პერანგში მუდმივად უნდა ცირკულირებდეს წყალი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში მიეწოდება ქვევიდან და გამოიდინება ზემოდან.

წყლის მაცივრები არის ორი სახის: დაღმავალი (პირდაპირი) და უკუმაცივარი (ნახ. 2).



ნახ. 2. მაცივრები: 1-ლიბისის (პირდაპირი), 2- ვესტის (პირდაპირი და უკუ), 3-ალინის (ბურთულებიანი) უკუმაცივარი, 4-ნორპაშის უკუმაცივარი, 5,6-დიმროტის (შიგაგაცივების უკუმაცივარი).

დაღმავალ მაცივარში ორთქლად ქცეული ნივთიერება გასაცივებლად ჩაედინება ზემოდან, კონდენსირდება და გადადის მიმღებში.

უკუმაცივარში კი ორთქლი მიეწოდება ქვემოდან და კონდენსატი ბრუნდება იმავე კოლბაში, სადაც ხდება დუღილი.

პირდაპირი მაცივრები გამოიყენება ისეთი ნაერთების გამოსახდელად, რომელთა დუღილის ტემპერატურა  $30\text{--}35\ ^\circ\text{C}$ -ზე ზევით არის. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს მაცივრის სიგრძეს და იგი უზდა იყოს არანაკლებ  $7\text{--}8$  სმ-ისა.

სპირალური მაცივრები უფრო ეფექტურია ადგილად აქროლადი ნივთიერებების ორთქლის კონდენსაციისათვის ( $150\ ^\circ\text{C}$ -მდე). მაღალი ტემპერატურის მქონე ორთქლის კონდენსაციისათვის გამოიყენება ჰაერის მაცივარი (გარკვეული სიგრძის მიღლი).

ზოგიერთი სითხე შეგვიძლია თავისი ჭურჭლით გავაცივოთ წყლის ჭავლის ქვეშ ან მოვათავსოთ წყლის აბაზანაში. წყალსნარების გაცივებისას ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია უშუალოდ გასაცივებელ მასაში ჩავამატოთ სუფთა ყინული ან ვისარგებლოთ ყინულის აბაზანით.

უფრო დაბალი ტემპერატურის მისაღებად გამოიყენება გამაცივებელი ნარევები (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მარილის აბაზანის შემცველობა

მარილი	პირობითი რაოდენობა, $\delta$		$T, ^\circ\text{C}$
	მარილი	ყინული	
NaCl	30	100	-21.3
NH <sub>4</sub> Cl	25	100	-15.8
NaNO <sub>3</sub>	59	100	-18.5

## 1.5. მექანიკური არეავა

ქიმიური რეაქციის მსვლელობაზე, განსაკუთრებით, რომლებიც მიმდინარეობენ ჰეტეროგენულ ფაზებს შორის, დიდ გავლენას ახდენს მორეაგირე ნაერთების მექანიკური არევა. არევა ხორციელდება სხვადასხვა სარევების გამოყენებით, რომლებიც დამაგრებული არიან პატარა ელექტრომძრავებთან (სურ. 2). ზოგიერთ შემთხვევაში არევა ხორციელდება მაგნიტური სარევის საშუალებით (სურ. 3).




სურ. 2. მექანიკური მორევის მოწყობილობა

ორგანულ სინთეზში ისეთი სისტემების მორევისათვის, რომლებიდანაც გამორიცხულია მორეაგირე ნივთიერების აქროლვის შესაძლებლობა, გამოიყენება სპეციალური საკეტი (ზარი). აღნიშნული საკეტები ჰეტეროგენულობას ინარჩუნებენ ბლანტი, მაღალმდუღარე სითხეების (ვერცხლისწყალი, გლიცერინი, ზეთი) საშუალებით.

სარევის სიჩქარე რეგულირდება ავტომანიურ-მატორების საშუალებით (ნახ. 3).



სურ. 3. მაგნიტური სარეველები



ნახ. 3.  
მექანიკური  
სარეველის  
საკეტი (ზარი)


## 1.6. გამოხდა

თხევადი ორგანული ნაერთების გამოყოფისა და გასუფთავების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს გამოხდა. გამოხდის პროცესი ეყრდნობა სხვადასხვა ნივთიერების დუღილის განსხვავებულ ტემპერატურას. თხევადი ნივთიერების ნარევიდან გაცხელებით, პირველ რიგში, ორთქლად გარდაიქმნება ყველაზე დაბალ-მდუღარე კომპონენტი, რომელიც გამოიყოფა თავისუფალი სახით და გაცივებისას კონდენსირდება.

უმარტივეს შეთხვევაში, როდესაც გვაქვს ნივთიერება, რომელიც შეიიცავს უფრო მაღალმდუღარე მინარევებს მცირე რაოდენობით, გამოხდის დროს ვლებულობთ ამ ნივთიერებას სუფთა სახით. ამ შემთხვევაში დებულობენ ერთ ფრაქციას.


ხშირად გვაქვს A, B, C, D სითხეთა ნარევი, რომლის გამოხდისას ღებულობენ რამოდენიმე ფრაქციას.

გამოხდა არსებობს სხვადასხვა სახის, რომელთა შორის აღსანიშნავია მარტივი (ატმოსფერული წნევის




ქვეშ), ფრაქციული, წყლის ორთქლით და გაკუუმ-გამოხდა.

**გამოხდა ატმოსფერული წნევის ქვეშ.** გამოხდას აწარმოებენ დანადგარში (ნახ. 4 და ნახ. 5), ორმელიც შედგება გვერდითი გადამყვანი ყელის მქონე კოლბისაგან (მაგალითად, შესაძლებელია ვიურცის კოლბის გამოყენება), თერმომეტრის, დაღმავალი მაცივრის, ალონჟისა და მიმღებისაგან.




ნახ. 4. მარტივი  
გამოხდის ხელსაწყო:  
1- მრგვალმირა  
კოლბა,  
2-გადამყვანი მილი,  
3-თერმომეტრი,  
4-პირდაპირი  
მაცივარი,  
5-ალონჟი,  
6-მიმღები



ნახ. 5.მარტივი გამოხდის  
ხელსაწყო ჰაერმაცივრით:  
1- მრგვალმირა კოლბა,  
2-გადამყვანი მილი,  
3-თერმომეტრი,  
4-ჰაერმაცივარი,  
5-ალონჟი,  
6-მიმღები

კომპონენტების ერთმანეთისაგან უკეთ დაცილები-სათვის ხმარობენ დეფლეგმატორს, რომელიც მორგებული აქვს გამოსახდელ კოლბას (ნახ. 6). დეფლეგმატორში მიმღინარეობს ორთქლის ნაწილობრივი კონდენსირება და გამოსახდელ კოლბაში ბრუნდება მნელად აქროლადი ნივ-თიერება, შესაბამისად ორთქლი მდიდრდება ადვილად აქროლადი ნივთიერებით. კოლბის ან დეფლეგმატორის ზედა ყელში საცობის საშუალებით ამაგრებენ თერმო-მეტრს, ისე, რომ მისი ვერცხლისწყლიანი ბურთულა კოლბის გადამყვანი მილის ოდნავ ქვევით მდებარეობდეს. გამოსახდელი სითხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს კოლბის ორ მესამედს. იმისათვის, რომ დუღილი თანაბარი იყოს და არ მოხდეს ხსნარის გადახურება, გამოხდის წინ კოლბაში ათავსებენ რამოდენიმე მინის კაპილარს ან ფორებიანი თიხის პატარა ნატეხს. თუ ნივთიერება დუღს არაუმეტეს  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, კოლბას აცხელებენ წყლის აბაზანაზე, ხოლო თუ ტემპერატურა  $80^{\circ}\text{C}$ -ზე მეტია, მაშინ - ელექტრონერაზე, სილის ან ზეთის აბაზა-ნის, ან ვუდის შენადნობის გამოყენებით.



ნახ. 6.  
გამოსახდელი  
მოწყობილობა  
დეფლეგმატორი:  
1-მრგვალმირა  
კოლბა,  
2-დეფლეგმატორი,  
3-პირდაპირი  
მაცივარი,  
4-ალონჟი,  
5-მიმღები

გამოხდის პროცესში აკვირდებიან თერმომეტრის მაჩვენებელს და მიმღებში დისტილატის მიღებას. აღნიშნავენ იმ ტემპერატურას, რომლის დროსაც მიმღებში გადავა დისტილატის პირველი წვეთი.

გამოხდის სიჩქარე უნდა იყოს დაახლოებით 1-2 წვეთი წმ-ში, თერმომეტრის ბურთულაზე კი გამოხდის პროცესში ყოველთვის უნდა შეიმჩნეოდეს სითხის წვეთები.

**ფრაქციული გამოხდა.** ფრაქციული გამოხდის საშუალებით შესაძლებელია სითხითა ნარევებიდან თითოეული ნივთიერება გამოყოფილ იქნას სუფთა სახით. ამ დროს პირველად გამოიყოფა დაბალმდულარე ნივთიერება, შემდეგ იცვლება მიმღები და იწყება მომდევნო ფრაქციის შეგროვება და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ფრაქცია გამოიხადოს ვიწრო ტემპერატურულ ინტერვალში.

ნარევიდან სუფთა სახის ნივთიერების გამოყოფის ნათელ მაგალითს წარმოადგენს არომატული ნახშირწყალბადების გამოყოფა მათი ნარევიდან.


- მაგალითად მოცემულია შემდეგი ნარევი:
1. ბენზოლი, დუღ. ტემპ. 80 °C, 2 წილი
  2. ტოლუოლი, დუღ. ტემპ. 110 °C, 1 წილი
  3. ქსილოლები:

ორთო- ქსილოლი, დუღ. ტემპ. 144 °C 1 წილი

მეტა- ქსილოლი, დუღ. ტემპ. 139 °C 1 წილი

პარა- ქსილოლი, დუღ. ტემპ. 138 °C 1 წილი.

ამ ნარევის გამოხდა ხდება ჩვეულებრივ გამოსახდელ აპარატში. მიღება სამი ფრაქცია: I ფრაქცია - ბენზოლი (77-80 °C); II ფრაქცია - ტოლუოლი (106-111 °C); III ფრაქცია - ქსილოლების ნარევი (132-132 °C). გამოხდის პროცესი შეიძლება გამოვსახოთ მრუდის საშუალებით (ნახ. 7).



ნახ. 7. ნარევის შედგენილობაზე დუღილის ტემპერატურის დამოკიდებულების მრუდი

ბენზოლისა და ტოლუოლის სუფთა სახით მისაღებად მათ შესაბამის ცალკეულ ფრაქციებს ხელმეორედ გამოხდიან. რაც შეეხება იზომერული ქსილოლების სუფთა სახით მიღებას, მეორედ გამოხდას აწარმოებენ დეფლეგმატორის საშუალებით (ნახ. 6).

## 1.7. ფაზის ორთქლით გამოხდა

წყლის ორთქლით გამოხდა გამოიყენება ისეთი სითხეებისათვის, რომლებიც წყალში ძნელად იჩსნებიან და არ ურთიერთქმედებენ მასთან. მეთოდი განსაკუთრებით

ეფექტურია, როცა რეაქციის პროდუქტი შეიცავს მნელად აქროლად ფისოვან მინარევებს. ამ დროს თითოეული სითხის (წყლის, ორგანული ნივთიერების) აორთქლება მიმდინარეობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ ორი ნივთიერების საერთო წნევა P უფრის თითოეული კომპონენტის ნაჯერი ორთქლის წნევების ჯამს:

$$P = P_A + P_B$$

რომელიც არ არის დამოკიდებული A და B კომპონენტების თანაფარდობაზე.


როდესაც საერთო წნევა ატმოსფერულ წნევას უტოლდება, ნარევი იწყებს დუღილს. რადგან P მეტია, ვიდრე P<sub>A</sub> ან P<sub>B</sub>, ასეთი ნარევის დუღილის ტემპერატურა ყოველთვის დაბალია, ვიდრე მისი ცალკე აღებული შემადგენელი ნაწილებისა.

წყლის ორთქლით გამოხდისათვის გამოიყენება მოწყობილობა (ნახ. 8), რომელიც შედგება: 1-ორთქლის ქვაბის (წყლის ორთქლის გენერატორი), 2- გამოსახდელი კოლბის; 3- მაცივრის; 4- ალონჟის; 5- მიმღების; 6- მინის მილის, 7- მინის სამკაპისაგან, რომელსაც მორგებული აქვს ონკანი, 8-გადამყვანი მილისა და 9-ბარომეტრული მილისაგან.

მაღალყელიან დიდი ზომის მრგვალშირა კოლბაში (კოლბა ავსებული უნდა იყოს მისი მოცულობის არაუმეტეს 1/3 ნაწილისა) მცირეოდენ წყალთან ერთად შეაჭვთ გამოსახდელი ნივთიერება და კოლბას უერთებენ მაცივარს, რომელშიც ატარებენ წყლის ძლიერ ნაკადს. მაცივართან მიერთებულია ალონჟი მიმღებით.

კოლბაში მოთავსებულ სითხეში ატარებენ წყლის ორთქლის ძლიერ ნაკადს. მილი, რომლის საშუალებითაც შეჰყავთ წყლის ორთქლი, თითქმის კოლბის ძირამდე უნდა ჩაიდოს. ორთქლი მიეწოდება სპეციალური ორთქლის გენერატორიდან (მადუღარიდან), რომელშიც ასხავენ მისი მოცულობის 2/3 წყალს და ენერგიულად ადუღებენ. მასში თითქმის ბოლომდეა ჩაშვებული დამცველი (ბარომეტრული) მილი. მადუღარასა და გამოსახდელ კოლბას შორის სასურველია მოთავსდეს მინის სამკაპი, რომლის გვერდით მილს არგებენ რეზინის მოკლე მილს მომჭერით, ეს მილი მუშაობის დაწყების წინ გაახსნილი უნდა იყოს. როდესაც მადუღარში წყალი ადუღდება,

რეზინის მილს დაკეტავენ მომჭერით და იწყებენ გამოხდას.




ნახ. 8. ხელსაწყო წყლის ორთქლით გამოხდისათვის:

- 1-ორთქლის ქვაბი (წყლის ორთქლის გენერატორი),
- 2-გამოსახდელი კოლბა, 3-მაცივარი, 4-ალონჟი, 5-მიმღები,
- 6-მინის მილი, 7-მინის სამკაპი, 8-გადამყვანი მილი,
- 9-ბარომეტრული მილი

## 1.8. ვაკუუმ გამოხდა


მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე ორგანული ნაერთი გამოხდის დროს ხშირად იშლება თავის დუღილის ტემპერატურაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო დაბალ ტემპერატურაზეც. ასეთი ნივთიერებების გამოხდისათვის იყენებენ ვაკუუმ გამოხდას. წნევის შემცირება იწვევს დუღილის ტემპერატურის დაწევას. ნივთიერება, რომელიც დუღს 350 °C-ზე ვერცხლისწყლის სვეტის 760 მმ (1 ატმ), დაბალი წნევის დროს შეიძლება გამოიხადოს დაახლოებით 160-210 °C, 100-130 °C და 40-50 °C-ზე, შესაბამისად 10 მმ, 0,01 მმ და 0,0001 მმ

ვერცხლისწყლის სვეტის წნევის დროს. ზოგიერთი ნივთიერების დუღილის ტემპერატურის დამოკიდებულება წნევაზე მოცემულია ნახ.9-ზე.



ნახ. 9. ნარჩენ წნევაზე დუღილის ტემპერატურის განსაზღვრის ნომოგრამა

მრავალი ორგანული სინთეზისათვის საკმარისია ვერცხლისწყლის სვეტის 1-2 მმ, რომელიც შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ტიპის ზეთის ტუმბოს საშუალებით. ზეთის ტუმბო უნდა დავიცვათ, რომ მასში არ მოხვდეს გამხსნელების, წყლისა და მჟავების ორთქლი. ამ მიზნით ტუმბოს წინ ქსელში რთავენ მშთანმთქმელ სვეტს NaOH-ითა და გააქტივებული ნახშირით (ან დამჭერით, რომელიც ცივდება თხევადი აზოტით).




ნახ. 10. კოლბები: 1-მზომი, 2-კონუსური (ერლენმეიერის), 3-ბრტყელმირა, 4-მრგვალმირა, 5-ორყელა მრგვალმირა, 6-ამყელა მრგვალმირა, 7-ვიურცის, 8-კენდალის, 9-კლაიზენის, 10-შსხლისებური კლაიზენის

ვაკუუმ გამოხდისათვის ხშირად იხმარება კლაიზენის მრგვალმირა კოლბა (ნახ. 10), ხოლო მცირე რაოდენობის ნივთიერებებისათვის - შსხლისებური ფორმის კოლბები. როგორც გამოსახდელი, ასევე მიმღები კოლბები უნდა იყოს მხოლოდ მრგვალმირა, რადგან ბრტყელმირა კოლბა ვერ უძლებს წნევის დაწოლას. გამოსახდელი კოლბის პირდაპირ ყელში ათავსებენ წვრილად წაგრძელებულ კაპილარს, ხოლო გვერდით მიღწი თერმომეტრს, რომლის ვერცხისწყლის რეზერვუარი მოთავსებულია გადამყვანი მილის ოდნავ უფრო დაბლა. გამოსახდელი სითხის თანაბარი დუღილის შესანარჩუნებლად კოლბაში ჩაშვებულია კაპილარი, რომლის ბოლო თითქმის კოლბის ძირამდე ჩადის. გამოხდის დროს

კაპილარიდან საჭიროა უწყვეტად შედიოდეს ჰაერი ან რომელიმე ინერტული აირი წვრილი პერიოდული ბუშტების სახით.

ვაკუუმ-გამოხდის დროს ცალკეული ფრაქციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის მიმღები, ე.წ. „ობობა“ (ნახ. 11).




**ნახ. 11. „ობობა“  
ვაკუუმ გამოხდისათვის**  
ვაკუუმ-გამოხდისათვის გამოხდის დაწყების წინ ამოწმებენ დანადგარის ჰერმეტულობას (ნახ. 12).

ვაკუუმ-ტუბოს ჩართვისას მანომეტრისაკენ მიმართული ონგანი 14 დაკეტილია, ხოლო სამსვლიანი ონგანი 13 გადართულია ატმოსფეროსკენ (კოლბა გამოთიშულია ტუბოსაგან). შემდეგ მას ფრთხილად გადართავენ სისტემისაკენ. გამოსახდელი კოლბა ცხელდება წყლის, ზეთის, ან ვუდის შენადნობიან აბაზანებზე.

ვაკუუმ გამოხდას იმავე სიჩქარით აწარმოებენ, როგორც ატმოსფერული წნევის დროს. გამოხდის დამთავრების შემდეგ საჭიროა დანადგარი გაცივდეს, ონგანი 14 დაკეტოს და 13 გაიღოს (შეუერთდეს ატმოსფეროს), შემდეგ გამოირთვება ვაკუუმ ტუბო. ონგანი 14 უნდა გაიღოს თანდათანობით, რათა ატმოსფერული ჰაერის ერთბაშად დაწოლამ არ გატეხოს ვერცხლისწყლის მანომეტრი.

ვაკუუმ-გამოხდისას აუცილებელია დამცველი სათვალით მუშაობა. სასტიკად აკრძალულია ვაკუუმის ჩართვის შემდეგ რაიმე შესწორების გაკეთება გამოსახდელ დანადგარში.



**ნახ. 12. დანადგარი ვაკუუმ გამოხდისათვის:** 1-ტერმომეტრები, 2-კაპილარი, 4-კლაიზენის კოლბა, 5-აბაზანა, 6-მაცივარი, 7-„ობობა“, 8-„ობობის“ ტუბუსი, 9-მიმღები, 10-მანომეტრი, 11,12-მშთანთქმელი სვეტები, 13-სამსვლიანი ონგანი, 14-ონგანი.



## 1.9. წყლიანი და უწყლო გამსსილების კონცენტრირება

წყლიანი და უწყლო გამსსილების დაბალ ტემპერატურაზე ასაორთქლებლად ფართოდ გამოიყენება როტაციული ტიპის ამაორთქლებლები (ნახ. 13).

არსებობს სხვადასხვა სახის ასეთი ამაორთქლებელი (სურ. 4), რომელთა მუშაობა ერთი და იგივე პრინციპს ემყარება. ასაორთქლებელ სსნარს ათავსებენ კოლბაში, რომელიც დახრილ მდგომარეობაში ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. კოლბა მიერთებულია უკუმაცივართან, რომელშიც ცირკულირებს ცივი წყალი. უკუმაცივარი თავის მხრივ შეერთებულია ვაკუუმის

წყაროსთან (წყალჭავლიანი ტუმბო). კოლბის წრიული მოძრაობისას შიგა ზედაპირზე წარმოიქმნება ხსნარის თხელი ფენა. კოლბა თანაბრად ცხელდება აბაზანაში. ამასთან ერთად გამორიცხულია ხსნარის გადახურება და ამორტყოცნა. დიდი ასაორთქლებელი ფართის გამო, აორთქლების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს. როტაციულ ამაორთქლებელში, კარგი ჰერმეტულობის შედეგად, დამყარებული ვაკუუმი შეაღენს 0,1 მმ ვერცხ.წყ.სვეტს. ხსნარების აორთქლების სიჩქარე 1 ლ ტევადობის კოლბიდან შეაღენს დაახლოებით 500 მლ/სთ-ში.

#### სურ. 4. როტაციული ამაორთქლებლები




## 1.10. გადაკრისტალიზაცია

მყარი ორგანული ნაერთების გასუფთავების მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს კრისტალიზაცია (გადაკრისტალება).

გადაკრისტალების საშუალებით ხდება ქიმიური მინარევების მოცილება და საკვლევი ნივთიერების სუფთა სახით მიღება.

გადაკრისტალების მეთოდი ეყრდნობა საკლევი ნივთიერების და მინარევების განსხვავებულ ხსნადობას ერთსა და იმავე გამხსნელში (მაგალითად წყალში) სხვადასხვა ტემპერატურაზე.

გადაკრისტალების პროცესის არსი შემდეგში მდგომარეობს: ვთქვათ საკვლევ ნივთიერებაში შედის A ნივთიერება - 95%, B-3%, C-1%, D-მექანიკური მინარევები - 1% ( A- გასასუფთავებელი ნივთიერებაა, რომლის ხსნადობა მკვეთრად იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად. B და C-მინარევები, ისენებიან გამხსნელში ოთახის ტემპერატურაზე, D - არ ისნება გამხსნელში).



**ნახ. 14. გადაკრისტალებისათვის საჭირო ხელსაწყოები:**  
1- მრგვალი კოლბა; 2- უკუმაცივარი; 3- ერლენმეიერის კოლბა; 4- ძაბრის გამახურებელი; 5- მინის ძაბრი; 6- ბუნზენის კოლბა; 7- ბიუხნერის ძაბრი

საკვლევ ნივთიერებას გამხსნელში (მაგალითად, წყალი) ისეთი რაოდენობით ხსნიან, რომ 100 °C-ზე

გაცხელებით იგი იძლევა A ნივთიერების მიმართ ნაჯერ, ხოლო B და C ნივთიერებების მიმართ უჯერ ხსნარს. გაცივებით ღებულობები A ნივთიერების მიმართ ზენაჯერ ხსნარს ამის გამო ეს ნივთიერება გამოკრისტალდება, B და C -კი მცირე პროცენტული შემცველობის გამო რჩებიან ხსნარში (მათ მიმართ ხსნარი უჯერი რჩება).

პრაქტიკულად გადაკრისტალება უნდა ჩატარდეს შემდეგი სქემით:

გამხსნელის შერჩევის შემდეგ ნივთიერებას უმატებენ გამხსნელის უმცირეს რაოდენობას

უკუმაცივრით აღჭურვილ მრგვალირა კოლბაში ნარევს აცხელებენ და ღებულობები ერთგვაროვან ხსნარს (თუ ნივთიერება გაცხელებით არ გაისწება, მაცივრის ზედა ყელიდან გამხსნელს უმატებენ მცირე ულუფებით სრულ გახსნაშე) (ნახ. 14)

ცხლად ფილტრავენ (ფილტრზე რჩება მექანიკური მინარევები D, ფილტრატში გადის A, B, C) (ნახ. 14, ბ)

ფილტრატს აცივებენ.  
(ხსნარში წარმოიქმნებ კრისტალები.)

გაცივებულ ხსნარს ხელმეორედ ფილტრავენ  
(ფილტრზე რჩება A, ფილტრატში გადის - B, C და მცირე რაოდენობით A, რომლის რაოდენობაც დამოკიდებულია გამხსნელის სწორად შერჩევაზე (ნახ. 14, გ)

A კრისტალებს აშრობენ და საზღვრავენ ლლობის ტემპერატურას.

თუ შესაფერისი გამხსნელი ვერ შეირჩა, მაშინ იღებენ გამხსნელების ნარევს, რომელთაგან ერთი კარგად, ხოლო მეორე ცუდად ხსნის გასასუფთავებელ ნივთიერებას. ამ დროს ხშირად გამოიყენება განზავებული სპირტის, ბენზოლის, ნაჯერი ნახშირწყალბადებისა და ქლოროფილმის ნარევი.

ზემოაღნიშნულ პროცესს იმეორებენ რამოდენიმე-ჯერ, სანამ საკვლევი ნივთიერება სუფთა სახით (99,9%) არ მიიღება. სისუფთავის ხარისხს ამოწმებენ ამ ნივთიერების ფიზიკური კონსტანტების დადგენით (ლლობის ტემპერატურა, ქრომატოგრაფია და სხვ.).

## 1.11. ექსტრაქცია

ხსნარიდან ან მყარი ნივთიერების ნარევიდან ნივთიერების გამოყოფას სხვადასხვა გამხსნელების საშუალებით ექსტრაქცია (ანუ გამოწვლილვა) ეწოდება. მას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ნივთიერების გამსხვავებული ხსნარიდან ერთსადაიმავე გამხსნელში ან ორ შეურევად გამხსნელში ერთიდაიგივე ტემპერატურაზე.

წყალხსნარიდან ორგანული ნაერთების გამოსაყოფად აწარმოებენ გამოწვლილვს ისეთი გამხსნელებით, რომლებიც წყალში უხსნადნი არიან, ხოლო მოცემული ნივთიერებები მათში კარგად იხსნებიან.

ექსტრაქციის დროს გამხსნელად ხშირად იყენებენ ადვილად აქროლად ნივთიერებებს - დიეთილის ეთერს, ბენზოლს, ქლოროფილში და სხვ.

გახსნილი ნივთიერების განაწილება ორ თხევად ფაზას შორის (წყალი და ორგანული გამხსნელი) განისაზღვრება ნერსტის განაწილების კანონის მიხედვით:


$$\frac{S_A}{S_B} = K$$

სადაც K- განაწილების კოეფიციენტია,  $S_A$  და  $S_B$  - განაწილებული ნივთიერებების ხსნარის რივე გამხსნელში ( $S_A$  - ორგანულ გამხსნელებში,  $S_B$ - წყალში).

K განაწილების კოეფიციენტი მოცემულ ტემპერატურაზე მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს.

ნივთიერების წყლიდან ექსტრაპირებისათვის იყენებენ ისეთ ორგანულ გამხსნელს, რომელშიც მოცემული ნივთიერება იჩნება ბევრად უფრო ადვილად, ვიდრე წყალში, ე.ი.  $S_A > S_B$ . იმ შემთხვევაში, როდესაც  $K \geq 20$ , ნივთიერების წყლიდან გამოსაწვლილვად საკმარისია ერთჯერადი ექსტრაპირება.

თუ  $K < 20$ , ექსტრაპირებას რამოდენიმეჯერ აწარმოებენ გამხსნელის ახალი ულუფების დამატებით. წყალსნარებიდან ორგანული ნივთიერების ექსტრაპირებას და ერთმანეთში შეურევადი სითხეების გამყოფას აწარმოებენ ცილინდრისებრი ან მსხლისებრი გამყოფი ძაბრების საშუალებით (ნახ. 15). ექსტრაქციის დაწყებამდე საჭიროა შემოწმდება გამყოფი ძაბრის ონკანის გამართულობა. ამისათვის მასში ასხავენ წყალს, თუ ონკანი წვეთავს, მას გაპოხავენ ვაზელინით. ძაბრს ამაგრებენ შტატივზე, ჩვეულებრივი ძაბრის საშუალებით ასხავენ საკვლევ სითხეს, უმატებენ მცირეოდენ გამხსნელს და მჭიდროდ ახურავენ საცობს. შემდეგ გამყოფ ძაბრს გადმოაბრუნებენ, თან ხელს უჭერენ საცობს, ონკანს და ფრთხილად შეანჯლოებენ, ამ დროს გამხსნელის აორთქლების შედეგად წარმოქმნილი ჭარბი წნევის მოსასპობად საჭიროა ონკანი გაიღოს მცირე ხნით, შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში ენერგიულად ანჯღლევენ ძაბრს და ღროდადრო აღებენ ონკანს.



ნახ. 15. ექსტრაქციის  
მოწყობლობა  
1- გამყოფი ძაბრი  
2- ერლენჰეირის კოლბა  
3-შტატივი

შენჯღლოების დამთავრების შემდეგ გამყოფ ძაბრს ამაგრებენ შტატივზე, ქვეშ შეუდგამენ კოლბას ან ქიმიურ ჭიქას. ფენების მყაფიოდ გამოყოფის შემდეგ ძაბრიდან საცობს იღებენ, აღებენ ონკანს და ჩამოასხამენ ქვედა ფენას, ხოლო ზედა ფენას ძაბრის ზედა ხვრელიდან გადმოასხამენ.


ექსტრაქციის დამთავრების შესამოწმებლად ექსტრაქტის ბოლო წვეტს ათავსებენ საათის მინაზე და გამხსნელს აართქლებენ. თუ სინჯი აორთქლდა ნარჩენის გარეშე, მაშინ ექსტრაქცია დამთავრებულად ითვლება.

ეთერთან და სხვა ადვილად აალებად გამხსნელებთან მუშაობა არ შეიძლება ჩატარდეს ცეცხლთან ახლოს.

## 1.12. სუბლიმაცია (ზერთვილვა)

ზოგიერთ ნივთიერებას (იოდი, ქინონი, ბენზომჟავა, ნაფთალინი და სხვ.) მყარ მდგომარეობაში იმდენად მაღალი ორთქლის წნევა აქვს, რომ მათი გამოხდა შესაძლებელია გალღობის გარეშე – ზერთვილვით (სუბლიმაციით). ამ ნივთიერების ორთქლი გაცივებისას, თხევადი ფაზის გაუვლელად, მყარ მდგომარეობაში გადადის. ზერთვილვას მყარი ნივთიერების გასუფთავების მიზნით შხელოდ იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც მოცემული ნივთიერების მეტისმეტად დიდი ან მცირე ხსნადობის გამო ჩვეულებრივ გამხსნელებში მისი გადაკრისტალება გამნელებულია ან სრულიად არ ხერხდება.


ნივთიერების ზერთვილვას შემდეგნაირად აწარმოებენ. ნივთიერებას ათავსებენ ფაიფურის ჯამზე (ნახ. 16), ზევიდან ახურავენ რამდენიმე ადგილას გახვრეტილ ფილტრის ქაღალდს. ფილტრის ქაღალდს ზევიდან უფრო ნაკლები დიამეტრის მქონე მინის ძაბრს ახურავენ, რომლის ვიწრო ბოლოში მოთავსებულია ბამბა. ძაბრს გარედან ახვევენ სველ ქსოვილს. ჯამში მოთავსებულ ნივთიერებას ფრთხილად აცხელებენ აზბესტის ბადეზე. ცივი ძაბრის შიდა ზედაპირზე გამოიყოფა კრისტალები, ფილტრი ხელს უშლის კრისტალების უკან ჩაცვენას.



ნახ. 16. სუბლიმაციის  
მოწყობილობა:  
1- ელექტროკურა,  
2-ფაიფურის ჯამი,  
3-ფილტრის ქაღალდი,  
4-მინის ძაბრი

ნივთიერების დიდი რაოდენობის სუბლიმაცია  
მოსახერხებელია ჩატარდეს ჭიქაში, რომლის ფსკერზე  
ასაქროლებელ ნივთიერებას ათავსებენ (ნახ. 17). ჭიქას  
ჰაერის ან ზეთის აპაზანაზე აცხელებენ. ჭიქაში 1  
ჩაშვებულია ჭოლბა 2, რომელიც შიგნიდან გამდინარე  
წყლით ცივდება.

ჭოლბის გარეთა ზედაპირზე გამოიყოფა სუბლიმი-  
რებული კრისტალები. უნდა აღინიშნოს, რომ სუბლიმაცია  
ჩვეულებრივად საშუალებას იძლევა მივიღოთ ზესუფთა  
ნივთიერება.



ნახ. 17. სუბლიმაციის მოწ-  
ყობილობა: 1-ქიმიური ჭიქა,  
2-ჭოლბალმირა ჭოლბა

## 1.13. ლლობის ტემპერატურის განსაზღვრა

ტემპერატურას, რომლის ზემოთ მყარი ორგანული  
ნივთიერება გადადის სხვა ფიზიკურ მდგომარეობაში და  
გარდაიქმნება სითხედ, ლლობის ტემპერატურა ეწოდება.  
ამ ტემპერატურაზე ერთდროულად არსებობენ და  
წონასწორობაში იმყოფებიან როგორც თხევადი, ისე  
მყარი ფაზები.

ლლობის ტემპერატურა წარმოადგენს ორგანული  
ნაეროს მნიშვნელოვან ფიზიკურ კონსტანტას.

მინარევები მყარი ნივთიერების ლლობის ტემპე-  
რატურას დაბლა სწევს, ამიტომ ჭუჭყიანი ნივთიერების  
ლლობის ტემპერატურა ყოველთვის უფრო დაბალია,  
ვიდრე შესაბამისი სუფთა ნივთიერებისა.


ლლობის ტემპერატურის განსაზღვრას აწარმოებენ  
სხვადასხვა ხელსაწყოში. ერთ-ერთი ხელსაწყო  
მოცემულია –ზე.

თერმომეტრი სინჯარის ფსკერიდან უნდა იყოს  
დაშორებული 5-10 მმ-ით და არ უნდა ეხებოდეს კედლებს.

ნივთიერებას წვრილად აფხვიერებენ და ათავსებენ  
კაპილარში (სიგრძე 30-40 მმ, დიამეტრი არანაკლებ 1-1.5  
მმ-ისა), რომელსაც ერთი ბოლო მირჩილული აქვს. მის  
ღია თავს ჩაუშვებენ ფხვნილში. ამ დროს ფხვნილი  
თავსდება კაპილარის ზედა ნაწილში. კაპილარს  
გადააბრუნებენ ისე, რომ ღია თავი ზევით ჰქონდეს და  
ჩააგდებენ 50-70 სმ სიგრძის მშრალი მინის მილში,  
რომელიც ვერტიკალურად დგას მაგიდაზე (სასურველია  
მინის ზედაპირზე). ამ პროცედურას იმეორებენ. მრა-  
გალჯერადი ვარდნის შედეგად ნივთიერება კაპილარში  
იტკეპნება და წარმოიქმნება მისი მკვრივი სვეტი  
(ნივთიერებამ უნდა შეავსოს 2-3 მმ).

შემდეგ კაპილარს რეზინის ვიწრო რგოლით  
ამაგრებენ თერმომეტრზე ისე, რომ ნივთიერების სვეტი  
სინდიუმიანი ბურთულის შუაში იყოს მოთავსებული.  
თერმომეტრი ჩაშვებულია სპეციალურ მრგვალმირა  
ჭოლბაში მოთავსებულ სინჯარაში (ჭოლბაში ჩასხმულია  
მაღალმდუღარე ნივთიერება მაგალითად კონც. გო-  
გილდმჟავა ან გლიცერინი). ჭოლბას გაახურებენ უსა-  
თუოდ აზბესტის ბადეზე. დასაწყისში ახურებენ სწრაფად

ლლობის ტემპერატურის მიღწევამდე 15-20 °C-ით ქვემოთ. ლლობის წერტილთან გახურება ძალიან ნელა უნდა ხდებოდეს, ხოლო 2-3 °C-ით მიახლოებისას, საერთოდ წყვეტებ გახურებას.



ნახ. 18. ხელსაწყო ლლობის ტემპერატურის განსაზღვრისათვის: 1- მრგვალირა კოლბა, 2-სინჯარა, 3-თერმომეტრი, 4-კაპილარი საკვლევი ნივთიერებით

იმ შემთხვევაში, როდესაც საზღვრავენ უცნობი ნივთიერების ლლობის ტემპერატურის, გახურებას აწარმოებენ ნელა, მთელი ცდის მსვლელობის განმავლობაში.

გალლობა მიმდინარეობს ტემპერატურის გარეულ ზღვრებში. ლლობის ტემპერატურის ათვლას იწყებენ თხევადი ფაზის წარმოქმნის პირველი ნიშნებიდან და ამთავრებენ ნივთიერების გამჭვირვალე სითხედ გარდაქმნისას.

რაც უფრო ნაკლებია ტემპერატურის ინტერვალი ლლობის დაწყებასა და დამთავრებას შორის, მით უფრო სუფთაა ნივთიერება. ლლობის ტემპერატურის განსაზღვრისას საჭიროა სიფრთხილე. მუშაობა უნდა ჩატარდეს დამცველი სათვალით.


## 1.14. გარდატეხის (რეზრაქციის) მაჩვენებელი

თხევადი ნივთიერებების იდენტიფიკაციისა და სისუფთავის შესაძლებლად აგრეთვე გამოიყენება გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრა.

გარდატეხის მაჩვენებელი იზომება რეზრაქტომეტრის საშუალებით. მისი მოქმედება დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: მონოქრომატული სხივის ორი სხვადასხვა გერემოს გამყოფი საზღვრის გავლისას გარდაყდება გარკვეული კუთხით. გარდატეხის კუთხის სიდიდის მნიშვნელობა უფრო მნიშვნელობა ნელიუსის კანონს:

$$\frac{\sin \alpha}{\sin \beta} = \frac{c_1}{c_2} = n$$

სადაც  $c_1$  და  $c_2$  სინათლის სიჩქარეებია პირველ და მეორე გარემოში. გარდატეხის მაჩვენებლის სიდიდე დამოკიდებულია ტემპერატურაზე და ხსნარების კონცენტრაციაზე. ორგანული ხსნარებისათვის ყოველი ერთი გრადუსით ტემპერატურის გადიდება  $n$ -ვეგს გარდატეხის მაჩვენებლის  $4 \cdot 10^{-4}$  -  $5 \cdot 10^{-4}$  ერთეულით შემცირებას.



$$\frac{\sin \alpha}{\sin \beta} = \frac{c_1}{c_2} = n$$

სინათლის გარდატეხა. ორი გარემოს გაყოფის საზღვარზე

აქედან გამოდინარე რეფრაქტომეტრის გამოყენებით შესაძლებელია ხსნარების კონცნტრაციის განსაზღვრა და ნივთიერებების სისუფთავის დადგენა.

გარდატეხის მაჩვენებელი ჩაიწერება შემდეგნაირად:  $n_D^{20}$ , სადაც გაზომვის ტემპერატურა არის  $20^\circ\text{C}$ ; D-ნატრიუმის ატომის გამოსხივების ხაზი. გარდატეხის მაჩვენებელი, როგორც დულიდის და ლლობის ტემპერატურები, გვევლინება ნივთიერების სპეციფიკურ მახასიათებლად.

მოლეკულური რეფრაქცია განისაზღვრება ლორენტც-ლორენცის ფორმულით

$$[R_i] = \frac{n_D^{20} - 1}{n_D^{20} + 2} \times \frac{M}{d}$$

სადაც  $i$  - გარდატეხის მაჩვენებელია;  $d$ -სიმკვრივე იმავე ტემპერატურაზე;  $M$ - მოლეკულური მასა.

გარდა ამისა, მოლეკულური რეფრაქცია შეიძლება გამოანგარიშებული იყოს ნაერთის სტრუქტურული ფორმულიდან: მათში შემავალი ატომური და სტრუქტურული კონსტანტების და რეფრაქციის კავშირების ჯამით.

კარგი შეთანხმება მოლეკულური რეფრაქციის ექსპერიმენტული და თეორიული მნიშვნელობისა

გვევლინება დადგენილი ნაერთის ფორმულის სისწორის საიმედო მტკიცებად.

## 2. ქრომატოგრაფია

სორბციული მეთოდებით ნივთიერებათა ნარევების დაყოფას დინამიკურ პირობებში ქრომატოგრაფია ეწოდება.

ამ მეთოდს დიდი გამოყენება აქვს მეცნიერების და ტექნიკის სხვადასხვა დარგში (ქიმია, მედიცინა, ბიოლოგია და სხვ). განსაკუთრებული როლი ენიჭება ქრომატოგრაფიულ მეთოდს თანამედროვე ორგანული ქიმიის განვითარებაში, რადგან ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა, განხორციელება.

- ნივთიერებათა როული ნარევების დაყოფა ცალკეულ კომპონენტებად.
- ნივთიერებათა თვისებითი და რაოდენობითი შედგენილობის განსაზღვრა.
- ნივთიერებათა ინდივიდუალობის დადგენა და სუფთა სახით გამოყოფა.

არსებობს ქრომატოგრაფიული მეთოდის სხვადასხვა, რომლებიც კლასიფიცირდებიან შემდგანიარად:

1. ქრომატოგრაფირების გარემოს აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით;
2. პროცესის მიმდინარეობის მექანიზმის მიხედვით.
3. აპარატული გაფორმების მიხედვით;  
ქრომატოგრაფიული მეთოდების ზოგადი კლასიფიკაცია მოყვანილია ცხრილი 3-ში.

ქრომატოგრაფიული მეთოდის სახესხვაობები ფართოდაა განხილული სპეციალურ ლიტერატურაში.

ადსორბციულ ქრომატოგრაფიაში გახსნილ ნივთიერებათა ნარევების კომპონენტებად დაყოფა ეყრდნობა უძრავ და მოძრავ ფაზებს შორის წონასწორული განაწილების სხვაობას.

ადსორბციული ქრომატოგრაფიის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ საკვლევ ნივთიერებათა ნარევების (თხევად ან აირად ფაზაში) გატარებით ადსორ-

ბენტზე ნივთიერებები ადსორბირდებიან მათთვის დამა-  
ხასიათებელი ადსორბციის სხვადასხვა უნარის გამო.

### ცხრილი 3. ქრომატოგრაფიის მეთოდები

აგრეგატული მდგომარეობა	პროცესის მიმღინარეობის მექანიზმი	აპარატურული გაფორმება
თხევადი		სიბრტყის; ქაღალდის; თხელფენვანი; მაღალეფექტური თხელფენვანი სვეტი; მაღალეფექტური სვეტის; სითხის მაღალწნევიანი
თხევად-თხევადი	გამანაწილებელი შებრუნებულ ფაზებზე; გელ-შეღწევადი; იონგაცვლითი	
თხევად-მყარი	ადსორბციული; აფინური; იონგაცვლითი; ჰიდროფობური	
აირადი		სვეტის; აირადი; ტემპერატურის; პროგრამირებით; წნევის პროგრამირებით
აირ-თხევადი	გამანაწილებელი	
აირ-მყარი	ადსორბციული	

დესორბციის პროცესი და ნარევის კომპონენტებად  
დაყოფა მიმღინარეობს სხვადასხვა გამხსნელების საშუა-  
ლებით (აირ-თხევადურ ქრომატოგრაფიაში გამხსნელად  
იხმარება ინერტული აირი).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადსორბენტის და  
გამხსნელის შერჩევას.

ადსორბენტის შერჩევისას ყურადღება უნდა  
მიექცეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ადსორბენტი უნდა იყოს ქიმიურად ინერტული  
საკვლევი ნარევისა და გამხსნელების მიმართ.
- ადსორბენტი უნდა ხასიათდებოდეს შემავალი  
ნარევის შემაღვენელი კომპონენტების მიმართ  
სხვადასხვა ადსორბციის უნარით.
- დიდი მნიშვნელობა აქვს ადსორბენტის დისპერ-  
სულობას. ადსორბენტის ნაწილაკების ზომების  
შემცირებასთან იზრდება შთანთქმის უნარი  
(ოპტიმალურ ზომებს ირჩევენ ექსპერიმენტუ-  
ლად).

გამხსნელის შერჩევისას ყურადღება ექცევა  
შემდეგ მოთხოვნებს.

ა) ინერტულობას საანალიზო ნარევისა და  
ადსორბენტის მიმართ;

ბ) მაქსიმალურად უარყოფითი ადსორბირების  
უნარს მოცემული ადსორბენტის მიმართ. ეს თვისებები  
ეყრდნობა გამხსნელების პოლარობას.

ქვემოთ ჩამოთვლილია გამხსნელები, რომლებიც  
ფართოდ გამოიყენება ქრომატოგრაფიაში:


პეტროლეინის ეთერი	პირიდინი
ციკლოპენსანი	აცეტონი
ოთხქლოიანი ნახშირბადი	6.პროპანოლი
ბენზოლი	ეთანოლი
ქლორმეთანი	მეთანოლი
ქლოროფორმი	წყალი
დიეთილეთერი	ძმარმჟავა
ეთილაცეტატი	

თხელფენოვანი, სვეტური და აირთხევადი ქრო-  
მატოგრაფიის თავისებურებები განხილულია ქვემოთ.

## 2.1. თხელფენოვანი ქრომატოგრაფია

თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის საშუალებით  
შეისწავლება ნივთიერებების ნარევთა თვისებით და  
რაოდენობითი შედგენილობა. უფრო იშვიათად,  
თხელფენოვანი ქრომატოგრაფია გამოიყენება სუფთა  
ნივთიერებების გამოსაყოფად.

თხელფენოვანი ქრომატოგრაფია ეყრდნობა საკე-  
ლევ ხსნარში შემავალი თ კომპონენტების აღსორბციის  
სხვადასხვა უნარს. შემდგომი თანმიმდევრული დესორბ-  
ცია და გამოყოფა შემადგენელ კომპონენტებად მიმდინა-  
რეობს სხვადასხვა გამხსნელის საშუალებით. ექსპერი-  
მენტის შედეგად ღებულობენ თხელფენოვან ქრომატო-  
გრამებს. თ - კომპონენტიანი სისტემისათვის ( $n=3$ ) მიიღე-  
ბა შემდეგი სახის ქრომატოგრამა (ნახ. 19).



ნახ. 19. თხელფენოვანი  
ქრომატოგრამა:  
1-ფრონტის ხაზი;  
2-სტარტის ხაზი  
3-კომპონენტების  
ლაქები;

თხელფენოვანი ქრომატოგრაფიისათვის გამოიყენ-  
ება თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ფირფიტა,

ქრისტალიზატორი, თხელფენოვანი ქრომატოგრამის გა-  
მოსამჟღავნებელი კამერა.

ქრომატოგრაფიული ფირფიტა არსებობს მინის,  
პლასტმასის ან ლითონის, რომელზეც დაფენილია  
აღსორბენტის თხელი ფენა. აღსორბენტად შეიძლება  
გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მშთანმთემელი. მათ  
შორის ყველაზე დიდი გამოყენება აქვს ალუმინის ოქსიდს  
( $\text{Al}_2\text{O}_3$ ), სილიკაგელს ( $\text{SiO}_2 \cdot \text{H}_2\text{O}$ ). სორბენტის ფენა  
შეიძლება იყოს დამაგრებული ან დაუმაგრებელი.

კრისტალიზატორი წარმოადგენს მინის ჭურჭელს  
სახურავით, რომელშიც არის გამხსნელის მცირე  
რაოდენობა 3-4 მმ სიმაღლეზე. აუცილებლად უნდა  
შეირჩეს აღსორბენტ - გამხსნელის ისეთი სისტემა, რომე-  
ლიც მოგვცემს კომპონენტების მკვეთრ განაწილებას მო-  
ცემულ სისტემაში.

გამოსამჟღავნებელი კამერა წარმოადგენს მინის  
ჭურჭელს, რომელშიც ათავსებენ იოდის კრისტალებს,  
რომელებიც ადვილად ორთქლდებიან და წარმოქმნაან  
იოდის ნაჯერ ორთქლს. იოდის ორთქლის საშუალებით  
ხდება ქრომატოგრამის გამომჟღავნება.

ქრომატოგრამის გამომჟღავნება შეიძლება აგრე-  
თვე ქრომატოგრამის დასხივებით ულტრაიისფერი სხივე-  
ბით; გოგირდმჟავით, რომელსაც ასხურებენ პულვე-  
რიზატორით და სხვა.

ექსპერიმენტის შევლელობა. მუშაობის დასაწყისში  
ამზადებენ გამოსაკვლევი ნივთიერებების ნარევის  
1-10%-იან ხსნარს წინასწარ შერჩეულ გამხსნელში.  
წვრილი კაპილარის ბოლოთი ეხებიან ხსნარის ზედაპირს.  
ამ დროს ხსნარი ადის კაპილარში კაპილარული ძალების  
გავლენით.

ქრომატოგრაფიული ფირფიტის ერთ-ერთ ბოლო-  
ზე აწვეთებენ (კაპილარის საშუალებით) საკვლევი  
ხსნარის ძალიან მცირე რაოდენობას (სტარტის ხაზი),  
ფირფიტს ათავსებენ გამხსნელის თხელ ფენაში იმავე  
ბოლოთი, რომელზეც დაწვეთებული იყო სინჯი, ისე, რომ  
საკვლევი ნივთიერება იყოს ახლოს გამხსნელთან.

გამხსნელი უნდა ავიდეს ფირფიტის ჩაშვებული ბოლოდან მეორე ბოლომდე, 1 სმ-ის დაშორებით (ფრონტის ხაზი).

გამხსნელი კაპილარული ძალების გავლენით მოძრაოს ქვემოდან ზემოთ (აღმავალი გზა) და თან წარიტაცებს საკვლევ ნივთიერებას. საკვლევი ნივთიერების მოძრაობა ქვემოდან ზემოთ ფირფიტაზე ეყრდნობა მის ადსორბციულ თვისებებსა და ხსნადობას. ამიტომა, რომ სხვადასხვა კომპონენტი ფირფიტაზე განლაგდება სხვადასხვა სიმაღლეზე.

ფირფიტას იღებენ გამხსნელიდან და აღნიშნავენ გამხსნელის ფრონტს.

ფირფიტას აშრობენ 5-30 წთ-ის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

გამხსნელი ქრომატოგრაფიულ ფირფიტაზე ყველაზე სწრაფად ადის სორბენტის ადსორბციული უნარის გამო და გზაზე ტოვებს გამოსაკვლევი ნივთიერების კომპონენტებს.

ფირფიტის გაშრობის შემდეგ ხდება ქრომატოგრამის გამომჟღავნება გამოსამჟღავნებელ კამერაში.

თუ გამოსაკვლევი ნივთიერება არის სუფთა, მაშინ გამომჟღავნების შედეგად ლაქები გამოიყოფა ერთ ზონაში. ხოლო თუ ნივთიერება არ არის სუფთა, მაშინ ყოველი ნივთიერება ინდივიდუალური ლაქის სახით გამოიყოფა სხვადასხვა ზონაში.


ერთი და იმავე სინჯის სხვადასხვა სორბენტზე და სხვადასხვა გამხსნელში ქრომატოგრამის გამომჟღავნებისას მიიღება ერთი ლაქა. ეს დამადასტურებელია იმისა, რომ აღებული სინჯი სუფთაა.

გარდა ამისა, საკვლევი ნაერთის ინდივიდუალობა შეიძლება დადგინდეს სტანდარტული ნაერთების გამოყენებით. საკვლევი ნივთიერებებისათვის ირჩევენ ცნობილ სტანდარტულ ნაერთს, რომლის შედგენილობა და აღნაგობა შექსაბამება საკვლევი ნივთიერების სავარაუდო აღნაგობას.

თხელფენოვანი ქრომატოგრამის ანალიზის ყველაზე ხელსაყრელი მეთოდია  $R_f$  სიდიდის განსაზღვრა.  $R_f$  გახსნილი ნივთიერების შეგვიანების ფაქტორია.

ეს სიდიდე წარმოადგენს შეფარდებას  $R_f=a/b$  სა-დაც  $a$  არის მანძილი სტარტის ხაზიდან ლაქის

ცენტრამდე, ხოლო  $b$ -მანძილი სტარტის ხაზიდან გამხსნელის ფრონტამდე.



ადსორბენტისა და გამხსნელის შერჩევისათვის თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით მიღებული ინფორმაცია სასარგებლოა როგორც სკეტური, ისე აირთხევადურ ქრომატოგრაფიაში.

ნახ. 20. ქრომატოგრამა

**ამოცანა.** თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის საშუალებით განვსაზღვრო სტეარინამიდის სინთეზის ღროს მიღებული პროდუქტის სისუფთავე.

ამოცანის მსვლელობა: იღებენ 0,5 გ სტეარინამიდს და ამატებენ 5 მლ აცეტონს. კაპილარის საშუალებით სინჯი გადააქვთ ქრომატოგრაფიულ ფირფიტაზე, ფირფიტას უშვებენ კიუკეტაში, რომელშიც ქლოროფილმია, აყოვნებენ 30 წთ-ის განმავლობაში. ამოიღებენ ქრომატოგრაფიულ ფირფიტას და აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ ამჟღავნებენ გამოსამჟღავნებელ კამერაში იოდის ორთქლით. სხვადასხვა ზონაში სტარტის ხაზიდან აღინიშება 3 ლაქა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მიღებულ პროდუქტში არის სტეარინმჟავა, სტეარინამიდი და სტეარინმჟავას ქლორანჟიდრიდი.

სასურველია თქვენს მიერ მიღებული პროდუქტების სისუფთავე განისაზღვროს თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით.

## 2.2. სვეტური ქრომატოგრაფია


სვეტური ქრომატოგრაფიის მეთოდი გამოიყენება ნივთიერებათა ნარევების დასაყოფად ცალკეულ კომპონენტებად და აგრეთვე ნივთიერებების გასასუფთავებლად.

სვეტში ადსორბციის დროს მიმდინარეობს შემდეგი პროცესები: ნარევიდან ადსორბენტის მიერ ნარევის კომპონენტების სხვადასხვა სიჩქარით შთანთქმა (ადსორბცია), სვეტში სხვადასხვა სიმაღლეზე კრომატონენტების განაწილება და გამორეცხვა (ერთდროულად მიმდინარეობს დესორბცია) იმავე ან სხვა გამხსნელის საშუალებით.

საკვლევი ჰსნარი გადაადგილდება სვეტში ზევიდან ქვევით (დაღმავალი ქრომატოგრაფია) თვითდინებით. ამის შემდეგ დებულობენ სხვადასხვა ფრაქციებს-ელუენტებს (ინდივიდუალური კომპონენტების ჰსნარები). აგრეთვე შეგვიძლია ზოლების მიხედვით მშთამნთქმელის მექანიკური დაყოფა და მყარი ფრაქციების ინდივიდუალურად დამუშავება.

ეს პროცესი ხორციელდება მინის მილებში (სვეტებში). რომლებიც შევსებულია ადსორბენტით. ი კომპონენტიანი სისტემისათვის ( $n=3$ ) მიიღება სურათი, რომელიც მოცემულია ნახ.21-ზე. დაყოფის შემთხვევაში უფრო მოსახურხებელია, რომ ეს ზოლები იყოს შეფერილი, ამიტომ ამ მეთოდს უფრო ხშირად იყენებენ შეფერილი ნივთიერებების ნარევების დასაყოფად.

სვეტის გეომეტრიულ პარამეტრებს არჩევენ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე. გამოიყენება სხვადასხვა სიგრძისა და დიამეტრის სვეტები სვეტის დიამეტრის და სიმაღლის ფარდობა შეესაბამება 1:10, 1:15, სორბენტის რაოდენობა 50–100-ჯერ მეტია დასაყოფი ნარევის რაოდენობაზე.



ნახ. 21. სვეტური ქრომატოგრაფიის მოწყობილობა:  
1-შტატივი  
2-ელუენტის მიმღები  
3-სვეტი  
4-მინისებური ბამბა  
5-საწვეთი ბაბრი

სვეტური ქრომატოგრაფიის პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ქრომატოგრაფიული სვეტის შექსებას ადსორბენტით შემდეგნაირად ახდენენ: სვეტის ქვედა ნაწილში ათავსებენ მინის ბამბის ტამპონს, შემდეგ სვეტს აკსეპტორ მშრალი ადსორბენტით (სვეტის მშრალი შექსების ხერხი), სვეტის ზედა ნაწილშიც უკეთებენ ბამბის ტამპონს და სვეტს ამაგრებენ შტატივზე ისე, რომ შეიძლებოდეს სვეტის ქვეშ მიმღების (კონუსური კოლბა) მოთავსება (ნახ. 21). ან შეიძლება ადსორბენტი წინასწარ დასველდეს (გაიუღიონთოს) გამხსნელით (სვეტის შექსების სველი ხერხი) და შემდეგ შეტანილ იქნას სვეტში. მინის წკირზე წამოცმული საცობის დახმარებით ხელს უწყობენ ადსორბენტის თანაბარ დალუქვას. სვეტის შექსებისას ადსორბენტს ჩარეცხავენ გამხსნელით და, როდესაც გამხსნელის ღონე დაიწევს ზედა ტამპონამდე, სვეტში

ასხამენ წინასწარ მომზადებულ საკვლევ ნივთიერებათა ნარევების ხსნარს გამხსნელში, სვეტის ზედა ბოლოზე მოთავსებული მინის ძაბრის საშუალებით. წარმოიქმნება რამდენიმე ზონა (ფერადი რგოლები) სვეტის სხვადასხვა სიმაღლეზე. როდესაც ხსნარის დონე დაიწევს ბამბის ქვედა ტამპონის დონემდე, სვეტში უშვებენ ამავე გამხსნელს მცირე ულუფებით. იმის შემდეგ, როდესაც ქვედა შეფერილი ხსნარი გამხსნელთან ერთად გადავა მიმღებში და სვეტიდან დაიწყებს გამოსვლას უფერო სითხე, უნდა შეიცვალოს მიმღები, სვეტში დაემატოს სხვა გამხსნელი მცირე ულუფებით და დანარჩენი ელუენტები შეგროვდეს ცალ-ცალკე მიმღებში. მიღებული ელუენტის გამხსნელებს ააორთქმებენ ან ვაკუუმში, ან პეტრის ჯამში გამწოვის ქვეშ. გამოყოფილ კომპონენტებს განსაზღვრავენ კლასიკური მეთოდებით. მექანიკური დაყოფისათვის სარგებლობენ ე.წ. დასაშლელი სვეტით.

### ექსპერიმენტული ნაწილი

ამოცანა 1. ო-ნიტროანილინის და აზობენზოლის დაყოფა სვეტში (ქრომატოგრაფიული სვეტის სველი შევსების ხერხი):

1. მომზადდეს 0,1–0,2 გ აზობენზოლისა და ო-ნიტ-როანილინის (1:1) ნარევის ხსნარი 10–15 მლ ოთხქლორიან ნახშირბადში.
2. შეივსოს სვეტი ადსორბენტით შემდეგნაირად:
  - აიწონოს 15 გ ალუმინის ჟანგი;
  - მომზადდეს 15 გ ალუმინის ჟანგის სუსპენზია 35–45 მლ ოთხქლორიან ნახშირბადში;
  - მიღებლი ალუმინის ჟანგის სუსპენზია ჩაის-ხას მცირე ულუფებით – მინის წკირზე წა-მოცმული კაუჩუკის საცობის შეუჩერებელი კაკუნით;
  - სვეტის შექსების შემდეგ ჩაირეცხოს დატანილი ადსორბენტი იმავე გამხსნელით ( $\text{CCl}_4$ );
  - ჭარბ გამხსნელს უშვებენ სვეტიდან ბამბის ზედა ტამპონის დონემდე (გამხსნელი უნდა

წვეთავდეს სვეტიდან სიჩქარით 15–20 წვეთი წუთში).

3. როდესაც ოთხქლორიანი ნახშირბადის დონე დაიწევს ზედა ტამპონის დონემდე, სვეტში მაშინვე ასხამენ წინასწარ მომზადებულ აზობენზოლისა და ო-ნიტროანილინის ხსნარს. მალე სვეტში წარმოიქმნება ორი შეფერილი ზონა: ზევით - მოკლე, მუქი ყვითელი (ო-ნიტროანილინი), ქვევით ღია ყვითელი (აზობენზოლი).
4. როდესაც ხსნარის დონე დაიწევს ქვედა ტამპონამდე, სვეტში ულუფებად უნდა დაემატოს ოთხქლორიანი ნახშირბადი - 5 მლ რაოდენობით.
5. როდესაც აზობენზოლის ღია ყვითელი ფერის ხსნარი ოთხქლორიან ნახშირბადთან ერთად გადავა მიმღებში და სვეტიდან დაიწყებს გამოსვლას უფერო სითხე (ამას დასჭირდება დაახლოებით 25–30 მლ ოთხქლორიანი ნახშირბადი), უნდა შეიცვალოს მიმღები და ხსნარის დონემ დაიწიოს ზედა ტამპონამდე.
6. სვეტში დაემატოს დიეთოლეთერი ულუფებით - 5 მლ. შეფერილი მეორე ელუენტი შეგროვდეს ცალკე მიმღებში (სვეტიდან ნიტროანილინის ჩასარეცხად დასჭირდება დაახლოებით 40 მლ ეთერი).
7. ორივე ელუენტის გამხსნელები უნდა აორთქლდეს ვაკუუმში 2–3 მლ-მდე მცირე ზომის ვიურცის ან პეტრის ჯამში (გამწოვის ქვეშ).
8. გამოითვალის გამოყოფილი ნივთიერებების წონა (აზობენზოლის გამოსავალი შეადგენს დაახლოებით 60%, ნიტროანილინის – 90%–ს).
9. განსაზღვრავენ ო-ნიტროანილინისა და აზობენზოლის ლლობის ტემპერატურებს და შეადარებენ ცნობარის მონაცემებს.

**ამოცანა 2.** ო-, მ- და პ-ნიტროანილინის დაყოფა (სვეტის შევსების მშრალი ხერხი).

1. აიწონოს 50 გ კალციუმის ოქსიდი და შეტანილ იქნას სვეტში მშრალი სახით მცირე ულუფებით. სვეტის შევსებას აწარმოებენ ისე, რომ სვეტის 1/3 დარჩენ შეუვსებელი.
2. გაიჯდინთოს ადსორბენტი პეტროლეუმის ეთერით.
3. აიწონოს 0,45 გ ო-, მ- და პ-ნიტროანილინის ნარევი (1:1:1) და გაიზსნას პეტროლეუმის ეთერში (50-60 მლ).
4. ჩაისხას მიღებული ხსნარი სვეტში მინის ძაბრის საშუალებით.
5. გამომუდავნეს ქრომატოგრამა. 200 მლ პეტროლეუმის ეთერის დამატებით წარმოიქმნება 3 ზოლი: ზედა ღია-ყვითელი (პ-ნიტროანილინი), საშუალო ყვითელი (მ-ნიტროანილინი), ქვედა ყვითელი-ყავისფერი (ო-ნიტროანილინი).
6. ზოლების ელექტრებას აწარმოებენ 4 მლ მეთილის საინტის და 200 მლ ბენზოლის ნარევის დამატებით. ელექტრის ფრაქციებს შეაგროვებენ ცალ-ცალკე მიმღებში ზოლების ჩამორეცხვით.
7. თითოეული ფრაქციიდან გადადენიან გამსნელს ვიურცის კოლბით.
8. განსაზღვრავენ მყარი პროდუქტის გამოსავალს თითოეულ შემთხვევაში.
9. განსაზღვრავენ გამოყოფილი ნივთიერებების ლილობის ტემპერატურებს და შეადარებენ ცნობარის შონაცემებს.

**ამოცანა 3.** იზოოქტანის გაწმენდა მინარევებისაგან. ულტრაიისფერ სპექტროფოტომეტრზე იღებენ ტექნიკური იზოოქტანის შთანთქმის მრუდს 200-300 ნმ ტალღის უბანში. შემდეგ ატარებენ ტექნიკურ იზოოქტანს

სვეტში, რომელიც შევსებულია გარკვეული მარკის სილიკაგელით (სიგრძე 50 სმ; დიამეტრი - 10 მმ).

გამოყოფენ სამ ფრაქციას: 1 - 2 წუთის, 2 - 14 წუთის და 3 - 30 წუთის შემდეგ. ფრაქციების შთანთქმის მრუდს იღებენ ტალღის იმავე უბანში და ადარებენ ერთმანეთს. სუფთა იზოოქტანს არ ახასიათებს შთანთქმა 200-300 ნმ უბანში.

სასურველია ამ მეთოდის გამოყენება თქვენს მიერ მიღებული ნაერთების დასაყოფად ან გასსსუფთავებლად.

## 2.3. აირ-თხევადური ქრომატოგრაფია

აირ-თხევადური ქრომატოგრაფია დანიშნულების მიზედვით შეიძლება იყოს - ანალიზური და პრეპარატული. ანალიზურ აირ-თხევადურ ქრომატოგრაფიაში სინჯის გაყოფა ხდება მყარ მატარებელზე დაფენილ თხევად ფაზაზე (სორბენტი), რომლის მიმართაც საანალიზო სინჯი გადაადგილდება ინერტული მატარებელი აირის (He, N<sub>2</sub>, H<sub>2</sub> და სხვ.) საშუალებით.

აირთხევადურ ქრომატოგრაფებში მიმდინარეობს შემდეგი ფიზიკური მოვლენები:


п-კომპონენტიანი სინჯის აორთქლება

п-კომპონენტების ადსორბცია თხევად ფაზაზე.


п-კომპონენტების თანმიმდევრული დესორბცია მათი შემდგომი რეგისტრაციით.

п-კომპონენტიანი სისტემის (n=7) ანალიზის შედეგად მიღებული ქრომატოგრამა მოცემულია ნახ. 22-ზე.

ქრომატოგრაფს აქვს შემდეგი ძირითადი კვანძები: ამაორთქლებელი - სინჯის ასაორთქლებლად, სვეტი - სინჯის კომპონენტებად დაყოფისათვის და დეტექტორი - დაყოფილი კომპონენტების რეგისტრაციისათვის, რომლის მუშაობის პრინციპი ეყრდნობა თბოგადაცემის ან იონიზაციის ხარისხის ცვლილებებს.



ნახ. 22. შეიდეომპონენტიანი სისტემის ქრომაქოგრამა



ნახ. 23. აირ-თხევადური ქრომატოგრაფიის პრინციპული სქემა: 1-ბალონი აირმატარებლის აირით; 2-რედუქტორი წნევების სარეგულირებლად; 3-გასუფთავების სისტემა; 4-ამაორთქლებელი; 5-სინჯის შესაშვები კვანძი; 6-თხევტი; 7-დეტექტორი; 8-აირმატარებლის ატმოსფეროსთან კავშირი; 9,10- გამაძლიერებელი; 11-პოტენციომეტრი; 12- თერმოსტატის ტემპერატურის რეგულირების ბლოკი; 13- თერმოსტატი

ქრომატოგრაფიული პროცესის შევლელობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (ნახ. 23): აირმატარებელი აირი ბალონიდან 1 რედუქტორის 2 და გამწ-

მენდი სისტემის 3 გავლით გადადის ამაორთქლებელში 4, რომელსაც სინჯის შესაშვები კვანძიდან 5 მიკროშპრიცის საშუალებით შეიიყვანება საკვლევი სინჯი.

ამაორთქლებელში სინჯი გადადის აირად მდგომარეობაში და მატარებელ აირთან ერთად შედის სვეტში 6. სვეტში სინჯი სორბირდება თხევად უძრავ ფაზაზე და ცალკეული კომპონენტის სახით გადადის დეტექტორში 7, რომელიც ახდენს მათ რეგისტრაციას და 9,10 ელექტრომეტრული გამაძლიერებლების გავლით აგზავნის პოტენციომეტრზე შესაბამისი სიგნალების სერიას.

### 2.3.1. ძირითადი პვანების დახასიათება

**ამაორთქლებელი.** ამაორთქლებელში სინჯი ორთქლდება აირმატარებლის მიერ, მისი სვეტში გადაადგილებისათვის. ამაორთქლებლი კონსტრუქციულად გაერთიანებულია სინჯის შესაშვებ კვანძთან. სინჯის რაოდენობები ძალიან მცირეა (1–10 მკლ) და მათი დოზირების სიზუსტე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ არსებობს სპეციალური კონსტრუქციის მიკროშპრიცები.

დიდი მნიშვნელობა აქვს აირმატარებლის სისტემის ჰერმეტულობას, რისთვისაც სინჯის შესაშვები კვანძი აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით.

**სვეტი.** სვეტში მიმდინარეობს საკვლევი სინჯის დაყოფა ცალკეულ კომპონენტებად. სვეტები არსებობენ – წყობურა (რომლებიც დატენილია მყარ მატარებელზე დაფენილი თხევადი ფაზით), ადსორბებულიანი და კაბილარული (რომლებშიც თხევადი ფაზა დაფენილია უშუალოდ სვეტის კადლებზე). სვეტებს ამზადებენ ლითონისაგან (უჟანგავი ფოლადი, სპილენდი, ალუმინი) მინისაგან და პლასტმასისაგან (ტეფლონი). სვეტის გეომეტრიულ პარამეტრებს (სიგრძე და შიგა დიამეტრი) დიდი მნიშვნელობა აქვს. სიგრძის გადიდებით იზრდება სვეტის ეფექტურობა, მაგრამ ამავე დროს იზრდება წნევათა სხვაობაც. ამიტომ საჭიროა სვეტის ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა. უფრო ხშირად

იხმარება 1-3 მეტრის სიგრძისა და 3-6 მმ შიგა დიამეტრის მქონე სვეტები. კაპილარულ სვეტებში მატარებელ აირს არ ხვდება წინააღმდეგობა მყარი მატარებლის და თხევადი ფაზის სახით. ამიტომ მათი სიგრძის ზრდა (100 - 120 მეტრი) არ იწვევს წნევათა სხვაობის ცვლილებას. კომპაქტურობის მიზნით სვეტებს აძლევენ სპირალის ფორმას.

**დეტექტორები.** დეტექტორზე მიმდინარეობს სვეტში დესორბირებული ცალკეული კომპონენტების რეგისტრაცია. დეტექტორის მთავარი დანიშნულებაა კონცენტრაციის ან სხვა პარამეტრის დამოკიდებულების ცვლილების რეგისტრაცია დროის მიმართ. ამრიგად, დეტექტორი წარმოადგენს ყველა ქრომატოგრაფიის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს, რადგანაც ძირითადად განსაზღვრავს ცდის მთელ შედეგს. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეტექტორის სწორ შერჩევას.

არსებობს დიფერენციალური და ინტეგრალური დეტექტორები. დიფერენციალურ დეტექტორებში მიმდინარეობს ერთ-ერთი პარამეტრის (კონცენტრაცია, ნაკადი) მყისიერი რეგისტრაცია, ხოლო ინტეგრალური დეტექტორები ახდენენ ნივთიერების რაოდენობის რეგისტრაციას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.


ყველაზე მეტად გამოიყენება დიფერენციალური კონცენტრაციული დეტექტორი - კატარომეტრი და დიფერენციალური ნაკადური ალით იონიზირებული დეტექტორი.

კატარომეტრის მუშაობის პრინციპი დამყარებულია იმ მოვლენაზე, რომ მგრძნობიარე ელემენტის ელექტროგამტარობა იცვლება გარემომცველი აირადი კომპონენტის თბოგამტარობის პროპორციულად. ალით დაიონებული დეტექტორის მუშაობის პრინციპი კი დამყარებულია იმ მოვლენაზე, რომ წყალბადის ალტი მოხვედრისას ცალკეული კომპონენტი განიცდის იონიზაციას, რომლის ხარისხის შესაბამისად წარმოიქმნება იონური დენი.

ამ დეტექტორების მიერ წარმოქმნილი ყოველი კომპონენტის შესაბამისი ელექტრული სიგნალი იმდენად მცირეა, რომ აუცილებელია მათი გაძლიერება ელექტრო-

მეტრული გამაძლიერებლის საშუალებით. სიგნალის სიდიდის ცვლილება დამოკიდებულია კომპონენტების ინდივიდუალურობასა და კონცენტრაციაზე, რაც პოტენციომეტრის ლენტაზე იძლევა თანმიმდევრულად განლაგებულ პიკებს.

ორკომპონენტიანი საკვლევი ხსნარის ტიპიური ქრომატოგრამა მოყვანილია ნახ. 24-ზე.



ნახ. 24. ქრომატოგრაფიული პიკების პარამეტრები (A- ნ-დეკანი; B- იზოოქტანი); h-პიკის სიმაღლე; a-სიგანე სიმაღლის ნახევარზე; h/2- პიკის სიმაღლის ნახევარი

## 2.4. თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი

ქრომატოგრაფის მუშაობის გარკვეულ რეჟიმში ყველა ინდივიდუალურ ნაერთს აქვს მახასიათებელი პარამეტრები: გამოსვლის დრო ( $\tau$ ), პიკის სიმაღლე (h) მდ; პიკის ფართობი ( $S$ ) მმ<sup>2</sup>, რომლებიც ქრომატოგრაფიული ანალიზისას განსაზღვრავენ ნაერთის ინდივიდუალობას.

**თვისებითი ანალიზი.** თვისებით ანალიზს ატარებენ ნივთიერება - ნაჭდევის (სტანდარტის) მეთოდით. ამისათვის იღებენ საკვლევი სინჯისა და ნივთიერება-ნაჭდევის ქრომატოგრამებს ერთნაირ პირობებში. ქრომატოგრამის პარამეტრების დამთხვევა მიგვითითებს იმაზე, რომ საკვლევი სინჯი ნივთიერება - ნაჭდევის იღენტურია.

ნივთიერება-ნაჭდევის უქონლობის შემთხვევაში მას, ღებულობენ „შემხვედრი სინთეზით“ ან სარგებლობენ ლიტერატურული მონაცემებით.

ქრომატოგრაფიული პიკის პარამეტრები ( $h, a, S$ ) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ისეთ ცვლად სიდიდეებზე, როგორებიცაა სინჯის დოზა, მატარებელი აირის სიჩქარე, ადსორბენტისა და მყარი მატარებლის ბუნება, კონცენტრაცია, ამიტომ ლიტერატურული მონაცემებით იდენტიფიკაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოცემული რეჟიმის დიდი სიზუსტით მართვისა და შენარჩუნებას.


**რაოდენობითი ანალიზი.** საანალიზო ნარევის რაოდენობითი დახასიათებისათვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ნორმირების, შინაგანი სტანდარტის, აბსოლუტური კალიბრაციის, სტანდარტული ნამატის და სხვ. ყველაზე ხშირად, სიმარტივისა და სიზუსტის გამო იხმარება შინაგანი სტანდარტის მეთოდი, რომელიც ეყრდნობა პიკის ფართობისა\* და კომპონენტის რაოდენობის პროპორციულობას. ანალიზის ჩასატარებლად ამზადებენ საკვლევი ნარევისა და სტანდარტის სხვა-

\* პიკის ფართობი  $S = h \cdot a$ , სადაც  $h$  არის პიკის სიმაღლე,  $a$  კი - ნახევარსიმაღლე

დასხვა კონცენტრაციის მქონე ნარევებს, იღებენ ქრომატოგრამებს, აგებენ საკალიბრაციო მრუდს შემდეგ კოორდინატებში (ნახ. 25).

$$R_1 = \frac{S_i}{S_{\text{სტ}}}; R_2 = \frac{m_i}{m_{\text{სტ}}}$$

სადაც  $S_i$  არის -საკვლევი პიკის ფართობი;  $S_{\text{სტ}}$  -სტანდარტის პიკის ფართობი;  $m_i$  -საკვლევი ნაერთის რაოდენობა;  $m_{\text{სტ}}$  -სტანდარტის რაოდენობა (ფართობი - $m^2$ , რაოდენობა - $m$  კლ).



ნახ. 25. რაოდენობითი ანალიზი შინაგანი სტანდარტის მეთოდით (იზოოქტანისა და ნ-დეკანის ექსპერიმენტული საკალიბრაციო მრუდი).

საკალიბრაციო მრუდის საშუალებით მყარდება კავშირი სინჯისა და სტანდარტის რაოდენობებსა და ფართობებს შორის\*. როდესაც საჭიროა უცნობი რაოდენობრივი შედგენილობის ნარევის ანალიზი, საკვლევ სინჯს უმატებენ შინაგანი სტანდარტის ცხობილ რაოდენობას,

\* შინაგანი სტანდარტის წინაშე დასმულია შემდეგი მოთხოვნები: სტანდარტი ქრომატოგრამაზე უნდა გამოდიოდეს საკვლევი სინჯის ახლოს სრულიად განცალკევბული და უნდა იყოს ქიმიურად ინერტული სინჯის მიმართ.

$$\text{იღებენ } \text{ქრომატოგრამას, ითვლიან } \text{ფარდობას } R_i = \frac{S_i}{S_{\text{ნ}}}, \text{ და}$$

საკალიბრაციო მრუდის საშუალებით იგებენ  $R_i$  შესაბამის  $R_2$ -ის მნიშვნელობას.  $R_2$ - ის ფარდობაში უცნობია მხოლოდ  $m_i$ , რომელიც ტოლია  $m_i=m_{\text{ნ}} \cdot R_2$ .

მაგალითად ნახაზზე გამოსახული A და B პიკების  $R_1$ -ის შესაბამისი  $R_2=1.5$ , ხოლო სტანდარტის რაოდენობა ცნობილია და უდრის  $m_{\text{ნ}}=0,5$  მკლ. მაშასადამე, ფარდობიდან  $R_2 = \frac{m_i}{m_{\text{ნ}}} = m_i \cdot R_2 = 0,75$  ე.ი

საკვლევი კომპონენტის რაოდენობაა 0.75 მკლ.

**ამოცანა.** დაამზადეთ  $\text{AlCl}_3$ -ით იზომერიზებული იზოკეტანისა და შინაგანი სტანდარტის ნ-დეკანის ნარევები შემდეგი ფარდობებით:

იზოკეტანი		ნ-დეკანი
1	1	
3	1	
4	1	

ააგეთ საკალიბრაციო მრუდი და ჩაატარეთ მოცემული უცნობი რაოდენობრივი ნარევის ანალიზი შინაგანი სტანდარტის მეთოდით.

სასურველია თუ ამ მეთოდს გამოიყენებთ თქვენს მიერ სინთეზირებული რომელიმე ნაერთის რაოდენობრივი დახასიათებისათვის.

### 3. ორგანული ნაერთების ელემენტური ანალიზი

სინთეზირებული ნაერთის შედგენილობის და ალნაგობის დასადგენად ფიზიკურ მეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ორგანული ქიმიისათვის დამანასიათებელი სპეციფიკური მეთოდები.

#### 3.1. ორგანული ნაერთების დამოკიდებულება განურების მიმართ

ნაერთის ორგანული ბუნება დასტურდება მისი ადვილი წვით. დანის ან წყირის წვერზე ათავსებენ საკვლევ ნივთიერებას და შეაქვთ სპირტქურის ალში. როგორც წესი, ორგანული ნივთიერებები გაცემელებისას აქროლდება ან ნახშირდება, ხოლო შემდგომი გავარვარებისას იწვის მთლიანად, არაორგანული ნაერთების წვის შედეგად კი რჩება ნაცარი.

სინჯის წვის დროს სუსტად განათებული მოცისფრო ალი მიგვითითებს ჟანგბადშემცველ ნივთიერებაზე (სპირტები, ეთერები, აგრეთვე ნაჯერი ნახშირწყალბადები და სხვ.), ხოლო ყვითელი, ხშირად ჭვარტლიანი ალი ახასიათებთ ნახშირბადით მდიდარ უჯერ ნახშირწყალბადებს (ალკინები, არომატული ნახშირწყალბადები და სხვ).

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანული ნივთიერებების შემადგენლობაში შედის ლითონი (კარბონ-, სულფო-, სულფინმეუვების მარილები, ალკოჰოლატები, ფენოლატები, მერკაპტიდები, კომპლექსური მარილები და სხვ), წვის შედეგად რჩება ნაცარი - არაორგანული ნაერთების ნარევი, რომლებსაც აანალიზებენ მათოვის დამახასიათებელი კლასიკური რეაქციებით. თუ ნარჩენი წარმოადგენს მეტალის ოქსიდს ან კარბონატს, ეს იმას ნიშნავს, რომ საანალიზო ნივთიერება არის მუავის მარილი (კარბონმეუვა, ფენოლი და სხვ), სულფიდის მიღება კი მიგვითებს, რომ აღებული ნივთიერება იყო კეტონის ან

ალდეპიდის ბისულფიტური ნაწარმი, სულფინ – ან სულ-ფომჟავების მარილი, ან მერკაპტიდი.


### 3.2. ორგანული ნაერთების თვისებითი ანალიზი

#### 3.2.1. ნახშირბადის და ფყალბადის აღმოჩენა

მეთოდი ეყრდნობა ორგანული ნივთიერებისა და დამჟანგავის ( $\text{CuO}$ ) შელლობის დროს ორგანული ნივთიერების ნახშირბადის სრულ დაჟანგვას ნახშირბადის (IV) ოქსიდამდე ( $\text{CO}_2$ ), წყალბადისა კი – წყლამდე.

ცდის ჩატარებისათვის სარგებლობენ მშრალი სინჯარით, რომელსაც მორგებული აქვს აირგამყვანი მილი.


**ცდის მსვლელობა.** სინჯარაში (1) (ნახ. 26) ათავსებენ სპილენძის ოქსიდის შავი ფერის ფხვნილს (5 მმ სიმაღლით). ამატებენ ცოტაოდენ საკვლევ ნივთიერებას და ენერგიულად ურევენ სინჯარის შენჯღრევით.




ნახ. 26. ნახშირბადის და წყალბადის აღმოჩენისათვის საჭირო ხელსაწყო:  
1– სინჯარა საკვლევი ნივთიერებით; 2– სინჯარა  $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის ან  $\text{Ba}(\text{OH})_2$ -ის შენარით; 3– აირგამყვანი მილი; 4– საკვლევი ნივთიერებისა და დაჟანგავის ნარევი; 5– უწყლო შაბიამნიანი ბამბა.

სინჯარის ზედა ნაწილში ათავსებენ მცირეოდენ ბამბას, რომელზედაც დაყრილია უწყლო შაბიამნის (სპილენძის სულფატი) თეთრი ფხვნილი. სინჯარას

აზურავენ აირგამყვანმილიან საცობს, ამასთან აირგამყვანი მილის მეორე ბოლოს ჩაუშვებენ სინჯარაში (2), რომელშიც ჩასხმულია 5–6 წვეთი ბარიუმის ან კალციუმის ჰიდროქსიდის ხსნარი. პირველ სინჯარას აცხელებენ სპირტურის ალზე. რომოდენიმე წამის შემდეგ აირგამყვანი მილიდან დაიწყებს გამოსვლას აირის ბუშტულები,  $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის ან  $\text{Ba}(\text{OH})_2$ -ის ხსნარი აიძვრევა და ბოლოს გამოიყოფა  $\text{CaCO}_3$ -ის ან  $\text{BaCO}_3$ -ის თეთრი ფერის ნალექი:



აშორებენ სინჯარას (2). სინჯარის (1) გაცხელებას აგრძელებენ, სანამ წყლის ორთქლი არ მიაღწევს ბამბის ფენას და არ გამოიწვევს მასზე მოთავსებული თეთრი ფხვნილის (უწყლო შაბიამნის) ფერის შეცვლას კრისტალჰიდრატის წარმოქმნის გამო:



#### 3.2.2. აზოტის, გოგირდის და ჰალოგენების აღმოჩენა


ორგანულ ნაერთებში აზოტის, გოგირდის და ჰალოგენების განსაზღვრისათვის ეს ელემენტები გადაჰყავთ იონიზირებულ ფორმაში, რომელთათვისაც ცნობილია ანალიზის მრავალი კლასიკური მეთოდი. ამ გადაჰყანას აწარმოებენ ორგანული ნაერთების შელლობით ლითონურ ნატრიუმთან (ლასენის სინჯი), რის შედეგად წარმოიქმნება  $\text{NaCN}$ ,  $\text{Na}_2\text{S}$  და  $\text{NaHal}$ . ორგანული ნაერთი, რომელიც შეიცავს



აღსანიშნავია, რომ შელლობისათვის უნდა იყოს აღებული ნატრიუმის ჭარბი რაოდენობა. ამასთან ფურადღება უნდა მიეკცეს ნატრიუმის შელლობის პროცესს ორგანულ ნივთიერებასთან ერთად. თუ ნატრიუმი გალღვება საკვლევი ნივთიერებისაგან განცალკევებით, მაშინ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნივთიერებაში არის აზოტი,  $\text{NaCN}$  არ წარმოიქმნება და ცდა უშედეგო იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატრიუმის ნაკლებობის დროს აზოტი და გოგირდი წარმოქმნიან ნატრიუმის როდანიდს

NaCNS, რომელიც აზოტის განსაზღვრის შემთხვევაში გარდაიქმნება  $\text{Fe}(\text{CNS})_3$ , რაც იძლევა საკვლევი ხსნარის წითელ შეფერვას.

ნატრიუმის ჭარბი რაოდენობის დროს ნატრიუმის როდანიდი NaCNS იშლება შემდეგი რეაქციის მიხედვით:





**ცდის შელელობა.** საკვლევი ნივთიერების შელელობა ნატრიუმთან და სამუშაო ხსნარის მიღება. მშრალ სინჯარაში ათავსებენ 5–10 მგ საკვლევ აზოტშემცველ ნივთიერებას და შეაქვთ ლითონური ნატრიუმის პატარა ნაჭერი (დანის საშუალებით ნატრიუმს აშორებენ ოქსიდის აფსკს). ნარევს აცხელებენ სპირტქურის ალზე საკვლევი ნივთიერების ლითონურ ნატრიუმთან შელლობამდე. შელლობის მიმდინარეობის დროს მოსალოდნელია მცირე აფეთქებები.

სინჯარას გაცივების შემდეგ უმატებენ რამდენიმე წვეთ ეთილის სპირტს რეაქციაში შეუსვლელი ნატრიუმის მთლიანად მოშორების მიზნით, შემდეგ უმატებენ 3–4 მლ გამოხდილ წყალს და სინჯარას აცხელებენ NaCN-ის მთლიანად გახსნამდე. აზოტის, გოგირდის და ჰალოგენების აღმოჩენისათვის მიღებული სამუშაო ხსნარის დამუშავება ხდება სხვადასხვა გზით.


### აზოტის აღმოჩენა.

წარმოქმნილი ხსნარისათვის დამახასიათებელ ტუტე არეს<sup>\*</sup> ამოწმებენ ფენოლფტალეინით. ხსნარი გადააქვთ მცირე სინჯარაში, სადაც მოთავსებულია  $\text{FeSO}_4$ -ის კრისტალები და ამატებენ  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის განზავებულ ხსნარს მუავე არემდე<sup>\*</sup>.

\* ხსნარის ტუტე არე აიხსნება მასში  $\text{NaOH}$ -ის წარმოქმნით შემდეგი რეაქციებით:



\* ხსნარში არსებული ტუტე ბოჭავს ორგალენტიანი და სამვალენტიანი რეაქციის ინტენსიურობის და წარმოქმნას  $\text{Fe(OH)}_2$  და  $\text{Fe(OH)}_3$  მათთვის დამახასიათებელი ჭუჭყაინი მოყვითალო-მწვანე ფერის ნალექით, რაც ხელს უშლის ანალიზის შემდგომ მიმდინარეობას:








მიმდინარეობს ჰექსაციანფერატის წარმოქმნა:



ამ დროს მიზანშეწონილია რამდენიმე წვეთი 5%–იანი  $\text{NaF}$ -ის ან  $\text{KF}$ -ის ხსნარის დამატება, რის შედეგადაც წარმოქმნება  $\text{Na}-$  ის ან  $\text{K}-$ ის ფერიფტორიდი  $\text{Na}_3[\text{FeF}_6]$ , რომელიც დადგებით გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის (ბერლინის ლაუვარდის) წარმოქმნაზე.

ხსნარის დუღილის შემდეგ  $\text{Fe}^{+2}$  იონების ნაწილი ჰაერის უანგბადით იუანგებიან  $\text{Fe}^{+3}$  იონებამდე. ხშირად ლურჯი ფერი არ წარმოიქმნება დაუანგვით წარმოქმნილი  $\text{Fe}^{+3}$  იონების მცირე რაოდენობის გამო.

აზოტის აღმოჩენის მიზნით მიღებული ხსნარის დამუშავება შესაძლებელია ორი გზით:



შემცველისათვის მარილმცვავს დამატება არ არის მიზანშეწონილი, რომელიც წარმოქმნის  $\text{FeCl}_3$ -ს მისთვის დამახასიათებელი ყვითელი ფერით, რაც იწვევს ლურჯი შეფერილობის მწვანე ფერში გადასვლას.

\* გამოიყენება 1,5%-იანი 3-ნიტრობენზალდეჰიდის ხსნარი 2-მეთოქსითანოლში, ო-დინიტრობენზოლის 1,7%-იანი ხსნარი იმავე გამსხვილებული და ნატრიუმის ჰიდროქსიდის 2%-იანი ხსნარი დისტილირებულ წყალში


4. მიღებულ ნარევს უმატებენ სამუშაო ხსნარის 2 წვეთს. ციანიდიონების თანაობისას წარმოიქმნება მოლურჯო მუქი წითელი ფერის ნაერთი. თუ წარმოიქმნება ყავისფერი ან ყვითელი ფერი, ეს იმას ნიშნავს, რომ საკვლევი ხსნარი აზოგს არ შეიცავს.

ეს მეთოდი ბევრად უფრო მგრძნობიარეა პირველ მეთოდთან შედარებით, მას ხელს არ უშლის გოგირდისა და ქლორის არსებობა.


ლურჯი ფერი დამახასიათებელია ხსნარებისათვის, რომელთა pH 7-ზე მეტია. ხსნარის შემუავებისას (pH<7) ლურჯი ფერი გადადის ყვითელში.

#### გოგირდის აღმოჩენა.

ცდის შევლელობა. ორი ერთმანეთის ტოლი ფილტრის ქაღალდის კუთხეებში (ზედა ფილტრის ქაღალდი ასრულებს ფილტრის როლს) ჰიპეტის საშუალებით აწვეთებენ სამუშაო ხსნარის ორ-ორ წვეთს. ქვედა ფილტრის ქაღალდზე ჩნდება ორი უფერო ლაქა. ერთ-ერთ ლაქაზე აწვეთებენ მმარმუავა ტყვიის წვეთს; მაშინვე წარმოიქმნება ყავისფერი შეფერვა ტყვიის სულფიდის PbS წარმოქმნის გამო:



მეორე ლაქაზე აწვეთებენ ახლად დამზადებული ნატრიუმის ნიტროპრუსიდის Na<sub>2</sub>[Fe(CN)<sub>5</sub>(NO)] ხსნარის წვეთს და, წარმოიქმნება წითელ-იისფერი შეფერვა, რომელიც თანდათან იცვლის ფერს. ეს ფერადი რეაქცია ორვალენტიანი გოგირდის იონზე განპირობებულია შემდეგი შედგენილობის კომპლექსური მარილის წარმოქმნით:



#### ჰალოგენების აღმოჩენა.


##### ჰლორის აღმოჩენა.

ცდის შევლელობა. სამუშაო ხსნარის 5 მლ-ს უმატებენ ვერცხლის ნიტრატის AgNO<sub>3</sub>-ის განზავებულ ხსნარს. თუ საკვლევი ნივთიერება არ შეიცავს აზოგს და გოგირდის იონურ ფორმაში, მაშინ წარმოიქმნება თეთრი ფერის ვერცხლის ჰლორიდის ნალექი.



ბელშტეინის სინჯი\*. სპილენბის ფირფიტას აზურებენ სპირტქურის ალში მანამდე, სანამ ალის მწვანე შეფერილობა არ გაქრება; შემდეგ ფირფიტას აცივებენ, მის ბრტყელ ბოლოზე ათავსებენ საკვლევ ნივთიერებას და კვლავ შეაქვთ სპირტქურის ალში. ალის მოცისფრო-მწვანე შეფერილობა საკვლევ ნივთიერებაში ქლორის არსებობის დამადასტურებელია.

#### ბრომის და იოდის აღმოჩენა

სინჯარაში ათავსებენ სამუშაო ხსნარის 3 მლ-ს, ამუავებენ 10%-იანი გოგირდშავით და ადუღებენ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ხსნარის გაცივების შემდეგ მას უმატებენ ოთხელორიანი ნახშირბადის 1 მლ-ს და ნატრიუმის ჰიპოკლორიტის (NaOCl) ხსნარის 1 წვეთს. CCl<sub>4</sub>-ის ფერის მუქი წითელი შეფერვა გვიჩვენებს საკვლევ ხსნარში იოდის არსებობას:



აგრძელებენ ნატრიუმის ჰიპოკლორიტის (NaOCl) სნარის დამატებას წვეთ-წვეთობით. ყოველი დამატების შემდეგ ხსნარს ენერგიულად ანჯღრევენ. მუქი წითელი შეფერვა თანდათან ქრება და წარმოიქმნება მოწითალო-მოყავისფრო შეფერვა, რაც ბრომის არსებობის დამადასტურებელია:



სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია ელემენტების თვისებითი განსაზღვრის სხვა მეთოდები. თვისებითი ანალიზის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია

\* ეს რეაქცია ძალიან მგრძნობიარეა ყველა ჰალოგენის მიმართ და მის შედეგს გადამოწმებენ პირველი მეთოდით

საკვლევი ნივთიერების „თვისებითი“ ფორმულის შედგენა:  
 $C_xH_yN_z$  და ა.შ.

ბრუტო ფორმულის დადგენისათვის ატარებენ  
 რაოდენობით ანალიზს.

### 3.3. ორგანულ ნაერთთა რაოდენობითი ანალიზი

ორგანული ნაერთის ბრუტო ფორმულის დადგენის  
 მიზნით აუცილებელია გაირკვეს მოლეკულაში შემავალი  
 ელემენტების რაოდენობითი ფარდობა. ორგანულ  
 ნაერთთა რაოდენობითი ელემენტური ანალიზი ეყრდნობა  
 არაორგანულ ნაერთთა ზუსტი რაოდენობის დადგენას,  
 ნაერთებისა, რომლებიც წარმოიქმნებიან ორგანული  
 ნაერთების წვის შედეგად. ასე, მაგალითად, თუ ცნობილია  
 საკვლევი ნივთიერების მასა და უანგბადის არეში წვის  
 შედეგად წარმოქმნილი ნახშირბადისა და წყლის  
 რაოდენობა, ადვილად გამოითვლება ნახშირორჟანგისა  
 და წყალბადის რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ  
 გრამმოლეკულაზე.

მაგალითად:

ნივთიერების წონაკი – a

$CO_2$ -ის ნამატი – b

$H_2O$ -ის ნამატი – c

$$\% C = K_{CO_2} \times \frac{b}{a} \times 100$$

$$\% H = K_{H_2O} \times \frac{c}{a} \times 100$$

სადაც,  $K_{CO_2}$  და  $K_{H_2O}$  – კოეფიციენტებია,  
 რომლებიც შემდეგნაირად მიიღებიან:

$$K_{CO_2} = \frac{M_C}{M_{CO_2}} = \frac{12.01}{44.01} = 0.2729$$

$$K_{H_2O} = \frac{M_H}{M_{H_2O}} = \frac{2.016}{18.016} = 0.1119$$

M – მოლეკულური მასა.

პალოგენების აღმოსაჩენად ხშირად იყენებენ „ბელშტეინის სინჯეს“. თხევადი ნივთიერებით დასკელებული სპილენძის მავთული (მყარი ნივთიერების შემთხვევაში მას ათავსებენ მავთულზე) შეაქვთ სპირტქურის ალში; ალი იფერება დამახასიათებელ მწვანე ფერად.

ამრიგად, იღებენ ნაერთის ელემენტურ ფორმულას:  $C_mH_nO_pS_e$  სადაც m,n,p,e და ა.შ. უცნობი რიცხვებია.

აზოტს ელემენტურ მდგომარეობაში ( $N_2$ ) საზღვრავენ დიუმას და კელდალის გაზომეტრული მეთოდით. უანგბადს ხშირად საზღვრავენ არაპირდაპირი ხერხით-საერთო მოლეკულურ მასას და სხვა ელემენტების ექსპერიმენტებით ნაპოვნ რაოდენობებს შორის სხვაობით.

ამრიგად, ელემენტური რაოდენობითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ორგანული ნაერთის ზუსტი შედგენილობა და მივუწეროთ კოეფიციენტები ფორმულაში, რომელსაც მივიღებთ თვისებითი ანალიზის შემდეგ.

$C_mH_nO_pS_e$  და ა.შ., სადაც m,n,p,e – მთელი რიცხვებია.


უნდა აღინიშნოს, რომ თვისებითი ანალიზის ჩატარებას განსაკუთრებული დანადგარი არ სჭირდება. იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ლაბორატორიაში. რაოდენობითი ანალიზის ჩატარება კი მოითხოვს სპეციალურ დანადგარებს და ტარდება სპეციალურ ლაბორატორიებში. ამჟამად შექმნილია აპარატურა, რომელიც რაოდენობითი ანალიზის ავტომატურად ჩატარების საშუალებას იძლევა.

### 3.4. ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში

ქიმიურ ლიტერატურაში მორეაგირე ნივთიერებების რაოდენობები მოცემულია მოლებში. ამასთან დაკავშირებით ლაბორატორიული მუშაობის მეთოდიკაშიც გამოყენებულია მოლი (M). ექსპერიმენტის ჩატარებისას საჭიროა მოლების გადაყვანა გრამებში, მილილიტრებში ან პირიქით.

მოლურ მასას გამოსახავენ გრამებით მოლზე (გ/მოლი).

მოლების გრამებში გადაყვანა განვიხილოთ ნიტ-რობენზოლის სინთეზის მაგალითზე:



M: 78 63 123 18

მეთოდიკაში მორეაგირე ნივთიერებები აღებულია შემდეგი რაოდენობით:

ბენზოლი -0,11 მოლი;

$\text{H}_2\text{SO}_4$  - 0,24 მოლი;

$\text{HNO}_3$  - 0,22 მოლი.

ბენზოლის გრამებში გაანგარიშება:

1 მოლი ბენზოლი არის 78გ

0,11 მოლი ბენზოლი იქნება  $x$  გ

$$x = 78 \cdot 0.11 = 8.58 \text{ გ ბენზოლი}$$

ბენზოლი, როგორც ყველა სხვა თხევადი ნივთიერება, ლაბორატორიაში მოსახერხებელია აღებულ იქნეს მილილიტრებში. გრამების გადაყვანა მილილიტრებში ხდება შემდეგი ფორმულით:

$$V = \frac{m}{d}$$

სადაც  $m$  არის ნივთიერების მასა,  $d$  - სიმკვრივე (გ/მლ) (აიღება ცნობარიდან),  $V$  - მოცულობა, მლ.  
ბენზოლის სიმკვრივე არის 0.879 გ/სმ<sup>3</sup>. ე.ი. 8.58 გ ბენზოლი იქნება

$$V = \frac{m}{d} = \frac{8.58}{0.879} = 9.76 \text{ მლ.}$$

$\text{H}_2\text{SO}_4$  გაანგარიშება. გაანგარიშებისათვის უნდა ვიცოდეთ მოცემული მუავას კონცენტრაცია. უცნობი კონცენტრაციის შემთხვევაში მას ზომავენ არეომეტრის საშუალებით. ცნობარში მოცემული ცხრილის დახმარებით კი ვიგებთ პროცენტულ კონცენტრაციას, მაგალითად:

ვთქვათ, აღებული გოგირდმჟავას სიკვრივე არის 1.84 გ/მლ, რაც შეესაბამება 96%-ს. 100 %-იანი გოგირდმჟავის რაოდენობას ვანგარიშობთ შემდეგი პროპორციით:

$$\begin{aligned} 1 \text{ მოლი } \text{H}_2\text{SO}_4\text{-ის მასა არის } 98\text{გ} \\ 0,24 \text{ მოლი } \text{H}_2\text{SO}_4\text{-ის მასა იქნება- } x \text{ გ} \end{aligned}$$


---

$$x = 98 \times 0.24 = 23.54 \text{ გ (100%-იანი } \text{H}_2\text{SO}_4)$$

23.54 გ 100%-იანი  $\text{H}_2\text{SO}_4$  შეესაბამება 96%-იანი გოგირდმჟავას შემდეგ რაოდენობას:

$$96 \text{ გ } \text{H}_2\text{SO}_4\text{-უ არის } 100 \text{ გ წსნაში}$$

$$23.52 \text{ გ } \text{H}_2\text{SO}_4\text{-იქნება- } x \text{ გ-ში}$$


---

$$x = \frac{23.52 \times 100}{96} = 24.4 \text{ გ 96%-იანი } \text{H}_2\text{SO}_4$$

$\text{HNO}_3$ -ის გაანგარიშება. ვთქვათ, აღებული აზოტმჟავას სიმკვრივე არის 1.4 გ/მლ, რაც შეესაბამება 67 %-ს. 100%-იანი  $\text{HNO}_3$ -ის რაოდენობა იანგარიშება პროპორციით:

$$\begin{aligned}1 \text{ მოლი } \text{HNO}_3 \text{ არის } 63 \text{ გ} \\0.22 \text{ მოლი იქნება } - x \text{ გ.}\end{aligned}$$

$$x = 63 \cdot 0.22 = 13.86 \text{ გ} \quad 100\%-იანი \text{ აზოტმჟავა}$$

$$\begin{aligned}63 \text{ გ } \text{HNO}_3 \text{ არის } 100 \text{ გ } \text{ წნარში} \\13.86 \text{ გ } \text{HNO}_3 \text{ იქნება } x \text{ გ-ში}\end{aligned}$$

$$x = \frac{13.86 \cdot 100}{67} = 20.6 \quad 67\%-იანი \text{ აზოტმჟავა}$$

**თეორიული გამოსავლიანობის გაანგარიშება.**

**მეთოდ 1.** რეაქციიდან ჩანს, რომ 1 მოლი ბენზოლიდან წარმოიქმნება 1 მოლი ნიტრობენზოლი. სარეაქციო არეში აღეცულია 0.11 მოლი ბენზოლი, რაც შეესაბამება ნიტრობენზოლის 0.11 მოლ თეორიულ გამოსავლიანობას.

**მეთოდ 2.** რეაქციიდან ჩანს, რომ 78 გ ბენზოლიდან მიიღება 123 გ ნიტრობენზოლი:

თუ 78 გ ბენზოლიდან მიიღება 123 გ ნიტრობენზოლი  
მაშინ 8.58 გ ბენზოლიდან მიიღება - x გ ნიტრობენზოლი

$$x = \frac{8.58 \times 123}{78} = 13.53 \text{ გ ნიტრობენზოლი}$$

**პრაქტიკული გამოსავლიანობის გაანგარიშება.**

